საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათს, 6 აპრილი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, [illegible] 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] 5 მანეთი. [illegible] 6 მან. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 15X3 სტრიქონის ზომით 100 მანეთი. ხელნაწერები უკან არ დაიბრუნება. რედაქცია და კანტორის მისამართი: კრუზენშტერნის ქ. 6, [illegible] ტელეფონი 16—69

№ 78 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 78

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა ბაბილინე, რძალი პელაგია, ძმები: ივანე და სიმონ კოვალეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ქ. ბათუმში 9 აპრილს 1918 წელს ტრაგიკულათ დაღუპული ოსმალებისაგან შეთახე ქართველი პოლკის პორუჩიკ

მათე ანდრიას ძე კოვალეიშვილის

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია მეორე წლის წირვა და პანაშვიდი ქალ. ოზურგეთის ადგილობრივ ეკლესიაში 9 აპრილს ახალი სტილით. (1168—2—2)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ლიზა დუარსაბის ასული, შვილები: ნიკოლოზ, აკაკი, მარო და ნინა, სიდედრი ეფემია ბოსის ასული დაი და სიძე: ანა ნიკოლოზის ასული და ანტონ გოგოლაძე, რძალი: პელაგია მაქსიმეს ასული, ძმისწულნი: ვანო, ბესიკო და ოლღა და ბიძაშვილი იოსებ ჯოხაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს 8 აპრილს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფას

ილიკო ნიკოლოზის ძე ჯოხაძის

სულის მოსახსენებლად ს. ოფშკვითში ღვთისმშობლის ეკლესიაში. (1195 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი ცოლის დები: სალომე და ეკატერინე ლუარსაბის ასულნი, ქვისლები: პავლე მაღაშხია, ეგნ. სარჯველაძე, ვანო და პავლე ამაშუკელები, ცოლის ძმები: იასონ, პარმენ და მელიტონ წილოსნები, ცოლის დისწული და ძმისწული ლევან და ივანე ნოდიაშვილები და ავთანდილ წილოსანი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 8 აპრილს დანიშნულია 40 დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ილიკო ნიკოლოზის ძე ჯოხაძის

სულის მოსახსენებლათ ს. ოფშკვითში ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ღრმათ დამწუხრებულნი: კლეონიკე კაკაურიძისა, ნათლიმამა და დედა გრიგორი და მართა, ნათლული კოტე აბაშმაძენი, აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და ამხანაგებს, რომ 29 მარტს (ძვ. სტ.) [illegible] გარდაცვალების იქნება წლის წირვა და პანაშვიდი სოფ. გომის ეკლესიაში, ძვირფასის ამავე სოფლის მასწავლებლის და თანამშრომლის

კლიმენტი მიხეილის ძის კაკაურიძის

ხსოვნის აღსანიშნავათ. (ფ. 1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი: მეუღლე მაშო, შვილები—ანეტა, ილიკო და გრიშა, ძმა სოლომონ, რძლები—ლიზა, ნადია, ნასტია და ანეტა, შვილიშვილები—თამარა და ვალიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი

დავით (დათა) გიორგის ძე დათუნაიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 6 აპრილს სოფ. დვაბზუში წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. (1198—11)

მწუხარებით გულმოკლული დედა ეფროსინე იოსების ასული, მამა მელქისედეკ ბიბილეისძე კედია, ძმა მიშო, დები: ოლღა და მაშა, ბიცოლა ქეთო, ბიძა ვალერიანე და ნიკო ყიფიანი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და დაუვიწყარ

ვენერა კედიას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს ბინიდან (პეტრე დიდის ქ. სახლი № 11) საღამოს 4 საათზე დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. (1196—1—1)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი კოზმა და ვასილი ჯიბუტები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათი მამიდაშვილის სიმონ დოლიძის მეუღლის, ძვირფასი და საყვარელი ნათლი დედის

მენიკო ანტ. ასული სიხარულ-ძე - დოლიძისა

უდროოდ გარდაცვალებას. (1199—1—1)

სახელმწიფო თეატრი

სამშაბათს 6 აპრილს — სამშაბათს 6 აპრილს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

ი. გედევანიშვილის

„სინათლე“

მონაწილეობს ახალი შემადგენლობა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (6 2—1)

ბათომის ქართველთა ეროვნული საბჭო

სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის თემების გამგეობებს, თემებისა და რკინისგზის ადმინისტრაციას თვალყური ადევნონ იმ პირთ, ვისაც ეროვნული საბჭოს მოწმობებით თემიდან გამოაქვთ სანოვაგე ბათომში შესატანათ. და აცნობონ საბჭოს ვინაობა იმათი, რომლებიც თემებისა და ადმინისტრაციის აზრით ბოროტათ სარგებლობენ ხსენებული მოწმობებით. საბჭოს მისამართი ქალ. ბათომი მარინეს ქუჩა № 48. (1160—16—3)

საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში

(ფრეილინის ქ. № 11) 8, 9, 10, 12, 13 აპრილს

მოეწყობა თვალსაჩინო სამოსწავლო ნივთების

გამოფენა
და სააღდგომო ბაზარი

დედოფლების, სათამაშო ნივთების, მხატვრული სააღდგომო კვერცხების და სხვ. პირველ მთელ კავკასიაში სპეციალური წარმოება ამხ. „ინჟინერი“ მ. კ. ბოკატინი და ამხ. შესვლა უფასოდ. გამოფენა ღია დილის 10—3 საათ. (1184—1—1)

ვერაზედ
პირველი ხარისხის რესტორანი

„გალი ედემი“

დიდი რემონტის შემდეგ ისევ იღება ამა 7 აპრილიდგან. ბაღში მოწყობილია დარბაზები და ბესედკები, გვაქვს პიანინო, მასთან არის დიდი როტონდო და შუშიანი ბალკონები ამხანაგურ სადილ-ვახშმისათვის. ბაღში დიდი მოიდანი და ხეივანია, მოიდანს ამშვენებს დიდი 300 წლიანი 4 ვერხვი, რომლის ჩრდილებით შეუძლიან ისარგებლოს 100 კაცმა. რესტორანთან არსებობს ბუფეტი, გვაქვს ყოველნაირი ადგილობრივი და საზღვარგარეთული სასმელები, კუხნა ევროპიულ-აზიური, ხელმძღვანელობით გამოცდილ მზარეულითა. ვღებულობთ საამხანაგო სადილებსა და ვახშმებს 200 კაცამდე. ვაჭრობა წარმოებს: ყოველივე მიცემული ზაკაზი იშვება ბუფეტიდგან ნაღდათ გადახდის შემდეგ. პროცენტები მოსპობილია.

(1194—4—1) პატივისცემით ამხანაგობა.

პარასკევს, 9 აპრილს სახელმწიფო თეატრში საღამოს 7 ნახ. საათზე ამხ. სეით დევდარიანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე:

„რუსეთის რევოლიუცია და სინამდვილე“

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: მანდელშტამი, სმირნოვი, პაპავა, აიოლი და სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელნი და სხვა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში და თბილისის კომიტეტში. (ფ. 4—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

(ყვითელი, ფრანგული ჯიში)

„დ. დ. დეკანოზიშვილის“ ფირმისა.

დუშეთის ქუჩა, № 22, ბინა მექანარიშვილისა. (1188 6—1)

რაჭის მაზრის ერობის გამგეობა იწვევს

სახალხო სკოლის ინსტრუქტორს

ჯამაგირი 6000 მან. დღიური და სამგზავრ 3,000 მან., მასწავლებლებს უმაღ. პირ. დაწ. სასწავლებლებში ექიმებს—პირობები შეთანხმებით. ექიმი ვეტერინარი, ჯამაგირი 5460 მანეთი.

(1197—3—1) გამგეობა.

იყიდება
9 ნახ. ძალიანი მოტორი

„გორნსბი“-ს

სისტემისა. იკითხეთ კრუზენშტერნის ქ. № 4, გოგუაძესთან. (5—3)

ექიმი ბ. ი. [illegible] იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.).

„ობივატელობა“ თუ მოქალაქეობა?

ძველმა პოლიტიკურმა წესწყობილებამ ჩვენს საზოგადოებაში სამკვიდროთ დასტოვა ერთი მეტათ მავნე ჩვეულება და აზროვნების მანერა. თვითმპყრობელურ წყობილების ნიშანდობლივი თვისება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხი, მისი ფართო წრეები პოლიტიკას, სახელმწიფოს საქმეებს სრულიად მოშორებულნი იყვნენ. სახელმწიფოს საქმეები კეთდებოდა, მისი ბედი წყდებოდა სადღაც, რაღაც საიდუმლო ადგილას, რაღაც იდუმალ, უხილავ ძალის მიერ. საუკუნოებრივმა პრაქტიკამ ხალხს შეუსისხლხორცა ის აზრი, ის რწმენა, რომ სახელმწიფო საქმეების გაძღოლაში მას მონაწილეობა ვერ ექნება, რომ ეს მას არ ეკითხება, რომ ამას მის მაგივრად გააკეთებს სხვა ვიღაცა, ვინც სწორედ მაგისათვის არის დაყენებული უმაღლეს, ხალხზე მაღლა მდგომი, ხალხისთვის მიუწვდომელ ძალის მიერ. „მთავრობა“—აი ის იდუმალობით მოსილი, უცნობი არსება, ვისაც უნდა ებარებოდეს სახელმწიფოს ხომალდის წაყვანა. მისი ბრალია, თუ სახელმწიფოს საქმეები ცუდათ მიდის, მისი ღვაწლი—თუ კარგათ.

რევოლიუციამ ეს იდუმალობის ფარდა ჩამოაცალა „მთავრობას“ და იგი ხალხის დასანახავათ გადააქცია. ხალხმა დაინახა, რომ ძველი წესის „მთავრობა“ ეს ყოფილა კრებული უბრალო მომაკვდავთა, რომლებიც გონებითაც, ზნეობითაც, მომზადებითაც, ნიჭითაც ჩვეულებრივ ცოდვილ ადამიანებზე დაბლა თუ არა—მაღლა არ იდგნენ, რომლებიც მთელი „სახელმწიფოს“ საქმეებს აწარმოებდნენ პირად ან თავის ჯგუფის და თავის წოდების სასარგებლოდ და ამ სარგებლობის თავის მსხვერპლად მოჰქონდათ მთელი ხალხის ინტერესები. დღეს ხალხმა ძირს ჩამოყარა თავის უფლების უზურპატორები და სახელმწიფოს ბედი ხელში მისცა თავის ნდობით აღჭურვილ პირებს.

დღევანდელი მთავრობა სრულებით ის არ არის, რაც იყო რევოლიუციამდის. ის, რასაც აკეთებს დღევანდელი მთავრობა, არავისთვის საიდუმლო არ არის; უმთავრეს სახელმწიფოს საქმეებს იგი აკეთებს საჯაროთ, საქვეყნოთ, ყველასათვის დასანახათ. ხალხის თვალი მის მოღვაწეობას არც ერთ წამს არ შორდება, ხალხის მიერ არჩეული ორგანოები, ხალხის სურვილის გამომხატველი დაწესებულებები მთავრობის საქმიანობის ყოველს ნაბიჯს ხედავენ. მთავრობა ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ისე, რომ ეს ხალხის კეთილდღეობისათვის სასურველად არ იყოს მიჩნეული. მან რომ ეს ჩაიდინოს, დაუყონებლივ წავა თავის ადგილიდან. მთავრობის ყოველი საქმე—ეს თვით ხალხის მიერ გაკეთებული საქმეა; მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ხალხის მიერ არის გადადგმული. მთავრობის გამარჯვება ხალხის გამარჯვებაა და მისი მარცხი—ხალხის მარცხია. პასუხისმგებლობა მთავრობის მოქმედებისათვის ეცემა მთელს ხალხს. ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქე, რომელიც თუნდაც უბრალო არჩევნების სახით ეზიარა ჩვენს დღევანდელს სახელმწიფოებრიობას, ზნეობრივად პასუხისმგებელია სახელმწიფოს საქმეებში. ყოველი მოქალაქე მოვალეა გაფაციცებით ადევნებდეს თვალყურს სახელმწიფოს ცხოვრებას და არავის არ აბრალებდეს, თუ სახელმწიფოს საქმეები ისე კარგად ვერ მიდის, როგორც ეს სასურველია. ასე უნდა უყურებდეს თავის მოვალეობას მოქალაქე, თუ იგი არ არის უპასუხისმგებლო მცხოვრებელი, ის, რასაც „ობივატელი“ ეწოდება.

სამწუხაროდ, ძველ წესწყობილებიდან სამკვიდროთ დატოვებული „ობივატელობა“ ჯერ კიდევ მეტად ძლიერია ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენი ცხოვრება ჯერ მოუწყობელია, სრულ დემოკრატიულ წესიერებამდის ჯერ კიდევ შორსა ვართ, ჯერ კიდევ ბევრი არეულობაა ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენი სასურსათო საქმე მოუწესრიგებელია, ფინანსიური მდგომარეობა გაჭირვებულია, შრომის პირობები გაძნელებულია და სხვადასხვა. ყველა ამას აქვს თავისი მიზეზი, რომლებიც ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. ყველასათვის დასანახია, რის გაკეთება შეუძლიან ხალხის მიერ დაყენებულ მთავრობას და რა აღემატება ადამიანის ძალას. მიუხედავათ ამისა ჩვენი „ობივატელი“ საერთოთ, ჩვენზე დამოუკიდებელ პირობებით გამოწვეულ გასაჭირის გამო ხშირად დრტვინავს, საყვედურს აცხადებს, ეძებს „დამნაშავეს“ და ამ დამნაშავეს, რასაკვირველია, ხელმძღვანელებში ხედავს. ხელმძღვანელების ბრალია, თუ პური ნაკლებია ბაზარზე! მისი ბრალია, თუ სანოვაგე ძვირია! მისი ბრალია, თუ ფულის ფასი ეცემა! და რაც უფრო სამწუხაროა,—ასეთ შეხედულებას ხშირად ვაიგონებთ თვით იმ წრეებში, რომლებიც ხელმძღვანელებთან ერთად ეწევიან სახელმწიფოს მართვის მძიმე საქმეს. ადამიანი სუსტია და მას ჩვეულია სხვის გადაბრალება იმისა, რაშიაც თვითონვე პასუხისმგებელი.

რაც უფრო გრძელდება ჩვენი კრიზისი, მით უფრო ფეხს იკიდებს ეს „ობივატელური“ შეხედულება სახელმწიფოს საქმეებზე. იგი დღეს უკვე საშიშარ სახეს ღებულობს და იმისთანა წრეებშიაც იჩენს თავს, სადაც ამას ადგილი არ ჰქონია და არც უნდა ჰქონდეს.

„ობივატელობასთან“ ბრძოლა დემოკრატიის მოწინავე წრეებმა უნდა თავის საქმიანობით დღიურ წეს-რიგში შეიტანოს. ერთი აზრი უნდა შეისისხლხორცოს მთელმა დემოკრატიამ: იმ სახელმწიფოში, რომელიც ხალხის ხელმწიფებაზეა აგებული, პასუხისმგებელი სახელმწიფოს ყველა საქმეებში არის თვით ხალხი, თითოეული მოქალაქე. თუ საქმეები ისე ვერ მიდის, როგორც სასურველია, ყოველი მოქალაქე მოვალეა ყოველს წამს თვითონვე გამოარკვიოს ამის მიზეზი, და თუ ჩვენს მოუწყობლობასთან ბრძოლაში იგი თვითონაც ვერ ხედავს ვერაფერს გამოსავალს, მას ზნეობრივი უფლება არა აქვს სხვას მოსთხოვოს ის, რის გასაკეთებლადაც თვითონვე ვერ შეუძლიან გამონახოს ვერაფერი ზომა, და რის გაკეთებაც ხშირად არ არის დამოკიდებული ხელმძღვანელთა ძალაზე. დემოკრატიის ხელმწიფების დროს ყოველ მოქალაქეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ, როდესაც სახელმწიფო გაჭირვებას განიცდის, დრტვინვა და საყვედური კი არ მართებს მას, არამედ ხელმძღვანელთათვის მხარის დაჭერა, მათთან თანამშრომლობა, საერთო ძალით ბრძოლა ჩვენის მოუწყობლობის მიზეზებთან.

კარლ კაუცკისთან
(წერილი ბერლინიდან.)

საქართველოს საელჩო ბერლინში 15 თებერვალს სადღესასწაულო სურათს წარმოადგენდა. ჩვენი ელჩის ვლ. ახმეტელაშვილის განცხადებამ, რომ ის ქ. კაუცკის მოიწვევს, ადგილობრივ ქართველთა კოლონიის ახალგაზრდობაში აღფრთოვანება გამოიწვია.

საელჩოს ბინაზე შეკრებილნი სტუდენტი კრძალვით ველოდებოდით საერთაშორისო დემოკრატიის ბელადს.

ასრულდა ჩვენი ნატვრაც გვესტუმრა კარლ კაუცკი. საშუალო ტანი, სიცოცხლით აღსავსე, მომღიმარი სახე, თმა და წვერი თეთრი, ვით თოვლი, შორს გამჭვრეტი მკვირცხლი თვალები, ფართო, მაღალი შუბლი და ჯერ კიდევ ახალგაზრდული მოძრაობა,—გარეგნობა კაუცკისა; მას გვერდს უმშვენებენ ცოლი და შვილი, თან მოჰყვებიან ჩვენი ელჩი და სხვანი.

— გაგაცნობთ იშვიათ სტუმარს, ქ. კაუცკის—ამბობს ვლ. ახმეტელაშვილი. კაუცკი თითო-თითოთ ყველას ართმევს ხელს.

— ჩხენკელი?—კითხულობს კაუცკი.

— დიახ, ჩხენკელი, ძმა აკაკისა.

აკაკი ჩხენკელის გაგონება, ხჩანს, სიამოვნებს კაუცკის. გვეცნობა ქ. კაუცკის ცოლი და სიამოვნებით მოიგონებს ელასა მგელაძეს.

ქ. კაუცკი ჯდება. ერთმა ჩვენგანმა გერმანულ ენაზე მიმართა მას შემდეგი სიტყვით:

„ჩვენო ღრმათ პატივცემულო და საყვარელო მასწავლებელო! გულწრფელად მოგესალმებით ქართველ სოციალისტურ ახალგაზრდობის სახელით. ჩემი მეგობრების მბრწყინავი სახე, საერთო გულის ცემა, რომლითაც ჩვენ ყველა თქვენს მოსვლას ველოდით, ნათლად გიჩვენებს, თუ რა დიდათ აფასებს საქართველოს სოციალისტური მოძრაობა თქვენს სახელს და სწავლას, რომლისთვისაც თქვენ რამდენიმე ათეული წელიწადი დაუღალავი ენერგიით და ენტუზიაზმით იბრძოდით. ჩვენ ვიცით, რომ მარქსიზმის მთავარ პრინციპებს, რომელთაც თქვენ თქვენი დაუვიწყარი მეგობრებითან ვ. ლიბკნეხტთან და ავგუსტ ბებელთან ერთად გამარჯვება მოუპოვეთ საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში, დღეს სამწუხაროთ, ივიწყებენ. ფართო მასსები გატაცებული არიან იმ დაპირებებით, რომელთა შესრულება დღეს არავის ძალუძს და რომელნიც ბოლოს და ბოლოს პროლეტარიატს იმედების გაცრუებას უმზადებს. თქვენ იცით, ჩვენმა პატარა ხალხმა, მიუხედავათ არაჩვეულებრივი სიძნელისა, მოახერხა დემოკრატიული წყობილების ცხოვრებაში გატარება, სადაც მარქსისტულმა სოციალ-დემოკრატიამ სრული ბატონობა მოიპოვა. დღეს ჩვენს მთავრობას მოწესრიგებული აქვს სახელმწიფო საქმე, ეს წარმატება ქართველი ხალხის განსაკუთრებული ნიჭით არ აიხსნება; ამას ჩვენ უმთავრესათ იმ გარემოებას ვაწერთ, რომ საქართველოს პოლიტიკური მოძრაობის შვილები, თქვენი სკოლიდან გამოსულები, თქვენი პირდაპირი მოწაფეები არიან. მათ შეიგნეს მარქსის სიტყვები, რომლითაც თქვენ ახლა ხშირათ იმეორებთ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია „დამზადებულ უტოპიების“ მარტო ხალხის გადაწყვეტილებით ცხოვრებაში გატარება, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენ ეკონომიური და სოციალური ძალთა განწონილება ავწონ-დავწონოთ, სანამ რაიმე პოლიტიკურ ნაბიჯს გადავდგამდეთ, და რომ განსაკუთრებულ მომენტში, მხოლოდ იმის განხორციელება შეიძლება, რასაც ობიექტიური სინამდვილე ნებას გვაძლევს.

აქ გერმანიის რევოლიუციის ქარტეხილში, ამ ძმათა შორის უმეტეს ბრძოლაში, ჩვენ ერთად ერთი ნათელ წერტილად ჩვენთ ძველი გამოცდილი მასწავლებელი ქ. კაუცკი მიგვაჩნია, რომელიც პროლეტარიატს გზას უნათებს. და, იყოს მასსა შეცდომით გზაზე დაყენებული, ბნელ დღეებს ნაცვლის ნათელი დღე, როდესაც საერთაშორისო პროლეტარიატი ისევ ნათელ გზას დაუბრუნდება, აი ამ დღეს ჩვენ ბედნიერი ვიქნებით თქვენ და თქვენს მეგობრებს, როგორც გამარჯვებულებს მოგესალმოთ—გამარჯვებულებს თეორიაში,—გამარჯვებულებს პოლიტიკაში; ერთი ღრმა სურვილი გვინდა კიდევ ჩვენ, როგორც ქართველებს, გადმოვცეთ, მოგვეცეს ახლო მომავალში საშუალება, თქვენ და თქვენს ოჯახობას, ჩვენს სამშობლოში, საქართველოში მოგესალმოთ“.

ქ. კაუცკის სახეს კმაყოფილება ეტყობა, 64 წლის მოხუცს ჭაბუკური ენერგია ემჩნევა. ის დგება, უახლოვდება მაგიდას და გვიპასუხებს; ლაპარაკობს ხმა-მაღლა, გარკვევით, ახალგაზრდული გატაცებით: „მე [illegible], ამბობს კაუცკი,—მე არ მეგონა, თუ თქვენ ასეთი მისალმებით შემხვდებოდით. არა ვარ მომზადებული, მაგრამ მინდა ორიოდე სიტყვით გაგცეთ პასუხი. თუ მე

დღეს

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ჩიჩერინს, რომ პოლონეთი საზავო მოლაპარაკების დროს სამხედრო მოქმედებას არ შესწყვეტს.

რურის ოლქში საყოველთაო გაფიცვა მუშებისა და მთავრობის შეთანხმებით დასრულდა.

ნიტტის მოხსენების შემდეგ საგარეო პოლიტიკის შესახებ სენატმა მთავრობას ნდობა გამოუცხადა 107 ხმით 11 წინააღმდეგ.

დანიაში სინდიკალისტები საერთო გაფიცვისაკენ მოუწოდებენ მუშებს, რათა ასეთი საშვალებით ძალა დაატანონ მთავრობას საარჩევნო კანონის შესაცვლელად.

ფრანგული პრესის ცნობით ხალი ფაშას კაბინეთი გადადგა.

ჩემს ცხოვრებაში რაიმე გამიკეთებია, ამას მე ვუმადლი ჩემს მასწავლებლებს მარქსს და ენგელსს. მართალია, დღეს ხშირათ ივიწყებენ მარქსისტულ თეორიას და თქვენ, როცა სწავლას შეუდგებით, ნუ ჩაიდენთ ამ შეცდომას, და პოლიტიკასთან ერთად მარქსისტულ თეორიასაც ნუ დაივიწყებთ. თქვენ, როგორც ვხედავ, კარგათ შეგიგნიათ მარქსიზმი. ქართველმა ამხანაგებმა, ჟორდანიამ, წერეთელმა და ჩხეიძემ შესძლეს მარქსისტული გზით სიარული, მაგრამ თქვენს ქვეყანაში შეგხვდებათ ბევრი სიძნელე, უმთავრესად ეკონომიური ხასიათისა სოციალიზმის განხორციელებისათვის. აღმოსავლეთიდან არ უნდა ელოდეთ სოციალიზმს, მე ახლა ინგლისიდან ველი მას. სოციალიზმს დაიწყებს დასავლეთი. ინგლისი შესძლებს ამას, და მას შემდეგ დანარჩენი ქვეყნები გაჰყვებიან მას და თუ მანამდის მე კიდევ ჯანმრთელობა შემრჩება და შეძლება მექნება საქართველოში წამოსვლის, სადაც ჩემი ნამდვილი მეგობრები მუშაობენ, ამას მე დიდ ბედნიერებათ ჩავთვლი! მოგესალმებით გულწრფელათ და გისურვებთ წარმატებას,—დაამთავრა კაუცკიმ,—ის ჯდება, მხიარულია. ყოველ ჩვენს კითხვაზე სიამოვნებით გვიპასუხებს, თვითონ შეკითხვებს იძლევა, არ იღლება. მას ყოველივე აინტერესებს, მოძრავია, მისი სახე ხან გაიღიმებს, ხან ჩაფიქრდება. უკმაყოფილოა რუსეთის დღევანდელ მოძრაობით, არ მოსწონს ლენინის მუშაობა და საერთოდ ბოლშევიზმი, სამაგიეროთ სიამოვნებით იგონებს საქართველოს და მის დღევანდელ წესწყობილებას. სიამოვნებით ისმენს ქართულ სიმღერებს, დამსწრეთა მიერ თქმულს. სწავლობს იქვე რამდენიმე ქართულ სიტყვას და გამოთხოვების დროს გარკვევით ამბობს „მშვიდობით!" სათითაოდ ყველას ართმევს ხელს.

ქ. კაუცკი თავისი ოჯახობით ელ. ამბოლაშვილის ბინაზე რჩება. რჩება ზოგიერთი ჩვენგანიც. [illegible] ვერაგულათ მოკლულ ცნობილ ჰაზეს შვილიც. იქვე ქალიც დღეგრძელობას უსურვებს კაუცკის. მან თავის მხრივ, მოიგონა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და უსურვა მტკიცე არსებობა. მოიგონებენ ჰაზეს და ფეხზე ადგომით პატივს სცემენ მის ხსოვნას. მამის მოსაგონებლათ სიტყვას ამბობს ჰაზეს ვაჟიშვილი. მე აქ, შენს ქვეყანაში, თქვენს შორის უფრო კარგათ ვგრძნობ თავს, ვიდრე ჩემს თანამემამულეთა შორის, რომელთა რიცხვი აქ დიდ უმრავლესობას შეადგენს. წრე, რომელსაც ჩვენ შევადგენთ თქვენთან ერთად, პატარაა, მაგრამ მტკიცე და იმედიანი, ჩვენ გვაერთებს ერთი იდეა, ერთი გზა. თქვენ მოიგონეთ მამაჩემი, და მე კი მისურვეთ: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა. შესძლოა მამის ოდენი ვერ შევძლო, მაგრამ არ ავცდები იმ გზას, რომელსაც მამაჩემი ადგა.

ხანგრძლივ ბაასის შემდეგ ქ. კაუცკი კვლავ გვპირდება საქართველოში გამგზავრებას და გვემშვიდობება ხალისიანი სახით, იმედიანი სიტყვებით...

ბ—და.

დამფუძნებელი კრება

2 აპრილს სხდომა.

თავმჯდომარეობს ექვთ. თაყაიშვილი.

ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა: 1) არსენალის თოფის და ტყვიამფრქვეველის სახელოსნოს გაფართოებისა და ვაზნების ალაპურელ დროებით სახელოსნოს მოწყობისათვის 7,689,400 მან. გადადებისა, 2) სკოლის გარეშე სწავლის მოსაწყობათ 2 მილიონი მან. გადადებისა, 3) სახელმწიფო მამულებში ნათესების გასაფართოებლათ 8,158025 მან. გადადებისა, 4) მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 15 მილიონი მანეთის გადადებისა სათესლე მასალის შესაძენად.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სამხედრო უწყების საჭიროებისათვის 50 მილიონი მანეთის გადადებისა მოულოდნელი ხარჯებისათვის.

მ. რუხაძის და გ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი თბილისის ქალაქის თვითმართველობისათვის 30 მილიონი მანეთის სესხად მიცემისა. სესხი უზრუნველყოფილია ქალაქის ქონებით, რომლის ღირებულება 3 მილიარდ მანეთს აღემატება, ხოლო ქალაქის ვალი, როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ამ ჟამად უდრის 26 მილიონ მანეთს.

მიღებულ იქნა აგრეთვე დეკრეტი ახალციხის ერობისათვის 2 მილიონი მანეთის სესხად მიცემისა ერთი წლის ვადით, უპროცენტოთ.

ამ დროს დიპლომატიურ წარმომადგენლების ლოჟას იკავებენ პოლონეთის წარმომადგენლები. თავმჯდომარე მათ შემდეგი სიტყვით მიმართავს:

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ჩვენ შორის დღეს არის პოლონეთის წარმომადგენელი. თქვენ კარგათ უწყით ისტორია პოლონეთისა. პოლონეთმა განიცადა იგივე ხვედრი, რაც საქართველომ. მისი ისტორია განმეორებაა ჩვენი ისტორიისა. თითქმის ერთ დროს დავკარგეთ თავისუფლება და ერთდროსვე დავიბრუნეთ ეს თავისუფლება. როგორც პოლონეთის ერი, ტერიტორია დანაწილებული იყო სამ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის, ისე ჩვენი ერიც, ჩვენი ტერიტორიაც უკუღმართი ბედის წყალობით დანაწილებული იყო ბოლოს და ბოლოს ოსმალეთის და რუსეთს შორის. დღეს ერთმაც და მეორემაც თავისუფლება მიიღეს, მაგრამ პოლონეთი ჩვენზე უფრო ბედნიერი არის მით, რომ მან მთლიანად დაიბრუნა თავისი ტერიტორია, ჩვენ კი ჩვენი ტერიტორიის უდიდეს ნაწილი სადაოთ გვაქვს და ჯერ-ჯერობით არ დაგვიბრუნებია. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ჩვენ იმას დავიბრუნებთ. გაჭირვების დროშიაც, როდესაც ჩვენ და პოლონეთი ერთ და იმავე ტაფაზე ვიწვოდით, ბუნებრივი მოკავშირენი ვიყავით, თვითმპყრობელობის დროსაც ჩვენსა და პოლონეთს შორის დამყარებული იყო მეგობრობა და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თავისუფლების დროს ეს მეგობრობა უფრო განმტკიცდება. თქვენის სახელით სალამს მიუძღვნი პოლონეთის სახელმწიფოს და სეიმს. (ტაში) დეპუტატები ოვაციებს უმართავენ პოლონეთის წარმომადგენელს.

ივ. გომართელი მოახსენებს კრებას დეკრეტს გზათა უწყების განკარგულებაში 2,118,195 მან. გადადების შესახებ წარსული წლის ხარჯების დასაფარავად.

გრ. ვეშაპელი აღნიშნავს გზა-ტკეცილების შეკეთების საჭიროებას და მოითხოვს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოხუმ-ზუგდიდ-სენაკის გზა-ტკეცილს, რომელიც ამ ჟამად ძლიერ გაფუჭებულია.

ა. ჭიჭინაძე. (გზათა დეპარტამენტის უფროსი) აცხადებს, რომ გზა-ტკეცილები მართლაც უწესრიგო მდგომარეობაშია, მაგრამ მათი შეკეთება დიდ თანხას მოითხოვს, ამ გზა-ტკეცილების შესაკეთებლად დაახლოვებით საჭიროა სამი მილიარდი მანეთი, რომლის გაღება ჩვენს ხაზინას დღევანდელ პირობებში არ შეუძლია. ამიტომ უწყებამ შეიმუშავა კანონ-პროექტი და გეგმა ამ გზა-ტკეცილების სხვა საშუალებით შეკეთებისა. ასეთ საშუალებად გათვალისწინებულია ნატურალური ბეგარის გამოყენება და ეს კანონ-პროექტი ამ დღეებში წარედგინება დამფ. კრებას. წარმოდგენილი მუხლობრივი განხილვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

ი. ხაჭაპურიძის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი ქუთაისში მეორე ხარისხის სამიც-ს დაარსების შესახებ.

გრ. გიორგაძის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი რესპუბლიკის საპყრობილეთა შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

გ. ცაბაძის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი გზათა დეპარტამენტის ცენტრალური ორგანოს შტატის გადიდებისა და ჯამაგირების მომატების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი—შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სასანიტარო განყოფილების, სავეტერინარო პერსონალის და შრატის დამამზადებელი სადგურის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი მთავრობის სახლის დამწვარი ნაწილის შესაკეთებლად, ცეცხლის საწინააღმდეგო მოწყობილობის შესაძენად და სხვა საადმინისტრაციო საჭიროებისათვის 1,688,000 მან. გადადების შესახებ.

გრ. ვეშაპელი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მოხსენებები და განმარტებები ამ საკითხზე ინჟინრების მიერ წარმოდგენილი იყო რუსულ ენაზე და მოითხოვს, რომ მომავალში ასეთ მოვლენას არ ჰქონდეს ადგილი. მომხსენებელი უპასუხებს, რომ ინჟინრების მიერ რუსულ ენაზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ მასალები, დანარჩენი კი ქართულად შემოვიდა კომისიაში. მომხსენებელი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ისეთი პირნი, რომელნიც რუსულად სწერენ და ლაპარაკობენ, უმთავრესად ვეშაპელის წრის ხალხია.

გ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი პროპორციული საქციზო გადასახადის დაწესებისა.

დასასრულ მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა: 1) სამხედრო უწყების საჭიროებისათვის 50 მილიონი მანეთის გადადებისა, 2) თბილისის ქალაქის თვითმართველობისათვის 30 მილიონი მანეთის სესხად მიცემისა და ახალციხის ერობისათვის 2 მილიონი მან. სესხად მიცემისა.

მეაბრეშუმეების მიმართ

გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობა, რომ მთავრობა მეაბრეშუმეებს აწვდის იაფ ფასათ საბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულ ჭიის თესლს.

მალე ჭიის გამოყვანის დროც დადგება. მეაბრეშუმეები მომზადებულნი უნდა შეხვდნენ ამ დროს.

მეაბრეშუმეობა ჩვენში სახალხო მეურნეობის ერთი თვალსაჩინო დარგია. მარტო ქუთაისის გუბერნიას ყოველწლივ ასი-ათას ფუთობით ნედლი პარკი მოჰყავდა. საქმე თანდათან ვითარდებოდა, მაგრამ ომისა და შემდეგ რევოლიუციის დროს მეაბრეშუმეობა ჩვენში საგრძნობლათ შეფერხდა. შარშან საქართველოში მარტო 20—25 ათასი კოლოფი თესლი გასაღდა, როცა წინეთ 80—100 ათასი კოლოფი ვრცელდებოდა. ჩვენ ყოველივე საშუალება უნდა ვიღონოთ და მეურნეობის ეს დარგი ძლევამოსილად გამოვაბრუნოთ, ფეხზე დავაყენოთ. ეს შედარებით ადვილი საქმეა. ჭიის საკვები მასალა თითქმის ყველგან საკმაოთ მოიპოვება და ჩვენი სოფლის მცხოვრებთაც აქვთ ამ საქმისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება.

საქართველო დღეს საშინელ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს განიცდის. სასოფლო მეურნეობა დაქვეითებულია, ისედაც სუსტი მრეწველობა შეფერხებულია, ფულის კურსი დღითი დღე ეცემა, მუშისა და მოსამსახურის მდგომარეობა თანდათან უარესდება. მთელი ხალხი გაჭირვებულია პირველ საჭიროების საგნების უქონლობის გამო. მხოლოდ ერთად ერთი სპეკულიანტთა მცირე ჯგუფი ნეტარებს. ქვეყანა დიდ ხანს ვერ იარსებებს ასეთ მდგომარეობაში. საჭიროა აქედან გამოსავალი გზა მოვნახოთ.

ჩვენი თავი და თავი უბედურება ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენაშია. მსხვილი მრეწველობა ჩვენში არ არსებობს. საფაბრიკო და საქარხნო ნაწარმოები თითქმის მთლად უცხოეთიდან შემოგვქონდა, ჩვენი მოთხოვნილების ცხრა მეათედს ამ საგნებში უცხოეთის მრეწველობა აკმაყოფილებდა.

როგორც წინეთ, დღესაც ყოველივე ეს უცხო ქვეყნებიდან უნდა მივიღოთ, ვინაიდან ადგილობრივი მრეწველობის გაშლება, ნედლი მასალის აქვე გადამუშავება 1 და 2 დღის საქმე არ არის. ხალხს კი დღესვე ესაჭიროება ჩითმადაფური, წამალი, სამეურნეო იარაღები და სხვა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი სიმდიდრის შექმნაზე, რომელსაც უცხოეთში დიდი გასავალი აქვს და სამაგიეროთ იქიდან მივიღოთ ჩვენთვის საჭირო საქონელი.

სწორედ ერთი ასეთი საგანია აბრეშუმის პარკი. მას დღეს დიდი მოთხოვნილებაა. მისი უპირატესობა, როგორც გასატანი საქონლის, კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ის მალე მზადდება და მაშასადამე, უცხოეთში მალე გაიტანება და ოქროთ იქცევა. რამდენაც მეტს დავამუშავებთ ჩვენ ასეთ სიმდიდრეს, მით მეტ სამაგიერო საქონელს მივიღებთ უცხოეთიდან, მით უფრო გამოსწორდება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, გაუმჯობესდება ჩვენი ფულის კურსი.

ჩვენი ხსნა დღეს სწორედ ასეთ საგნებში და მიზან-შეწონილ შრომაშია და სამეურნეო მოღვაწეობაშია. თითოეული პარკი გლეხის ოჯახში დამზადებული, თითოეული ბეწვი მატყლისა, თითოეული ფურცელი თამბაქოსი რომ ადგილობრივ არა მარტო იმას, ვინც ის მოიყვანა და დაამზადა, არამედ—ამაგრებს ეკონომიურად ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ქვეყანას.

მთავრობამ ეს გაითვალისწინა, როცა უცხოეთში დიდი შეიძინა ჭიის თესლი, შეამოწმა, გაამზადა და სოფლებში დაგზავნა.

ეხლა მეაბრეშუმეთა ვალია მთელი თავის ენერგიით მოკიდოს ხელი ამ საქმეს. არც ერთმა ოჯახმა, რომელსაც ჭიის საკვები (თუთა—ბჟოლა) მოეპოვება, არ უნდა დარჩეს თავი აბრეშუმის ჭიის დასმას. არც ერთი კოლოფი თესლი ტყვილათ არ უნდა გაცდეს. ერობებმა, კოოპერატივებმა, კერძო პირებმა უნდა შეაგნებინონ ყველას ამ საქმის დიდი მნიშვნელობა, როგორც პირადათ თვითეულისათვის, ისე მთელი ქვეყნისათვის. ვინც ამას არ იზამს, ის დამნაშავეა ქვეყნის წინაშე, მტერია როგორც თავისი თავის, ისე მთელი ხალხის.

შრომა და ნაშრომის გამრავლება, აი რა გვიხსნის ჩვენ გაჭირვებისაგან.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება რესპუბლიკის და თავისუფლების განმტკიცება.

მიწათ მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.

პროფ. კავშ. საერთაშორ. ბიუროს რეზოლიუციები

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს სხდომები შესდგა ამსტერდამში 5—6 მარტს.

ბიურომ განიხილა საერთაშორისო მდგომარეობა და სიძვირის თანდათანი ზრდა და გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რათა დამყარებულ იქნეს მშვიდობიანობა ომის მაგივრათ და რათა ხალხები განთავისუფლებულ იქნენ შეიარაღებისათვის საჭირო მძიმე ხარჯებიდან. შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ აუცილებელია მოეწყოს ნედლი მასალის საერთაშორისო განაწილება და შეიქმნეს მტკიცე ბაზა საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლისათვის.

ბიურომ გადასწყვიტა დასვას განსახილველათ საკითხები წარმოება—გაცვლა-გამოცვლის ნაციონალიზაციისა და სოციალიზაციის შესახებ პროფესიულ კავშირთა საერთაშორისო საბჭოში, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში შეიკრიბება. თუ საბჭომ მიიღო ეს მოთხოვნილებები, მაშინ უკანასკნელი საფუძვლად დაედება პირველ მაისის მანიფესტაციას.

ავსტრო-უნგრეთის მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობის გამო ბიურომ გადასწყვიტა მოწოდებით მიმართოს საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობას. ამ ქვეყნების პროლეტარიატის საშინელი მდგომარეობა მოითხოვს, რათა დაუყოვნებლივ და გაბედულად გამოიჩინოს სოლიდარობის გრძნობა მთელ ქვეყნის პროლეტარიატმა.

იცის რა უნგრეთში გაბატონებულ თეთრი ტერორის სისასტიკე, პროფ. კავშ. საერთაშორისო ბიურომ შემდეგის მოწოდებით მიმართა საერთაშორისო პროლეტარიატს:

ყველა ქვეყნის შეკავშირებულ მუშებს.

ამხანაგებო! თავის სხდომებზე 5 და 6 მარტს პროფ. კავ. საერთაშორისო ბიურო გაეცნო იმ სასტიკ და სიტყვით აუწერელ დევნას, რასაც უნგრეთის მუშები განიცდიან თეთრი ტერორის მხრივ, რომელიც დღეს უნგრეთში ბატონობს.

ათი ათასობით ქალი და კაცი მომწყვდეულია ციხეში და კონცენტრაციულ პუნქტებში, სადაც მათ სცემენ და აწამებენ. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი წევრებათ ითვლებოდენ პროფესიონალურ ინტერნაციონალის ორგანიზაციებში. ყოველ მხრივ შევიწროებულნი, ისინი გადაშენების გზაზე არიან შემდგარნი. ხუთი ათასზე მეტი უკვე დასაჯეს სიკვდილით და აქ ალაგი არ ჰქონებია არავითარ გამოძიებას, სასამართლოს ნიშანწყალსაც კი.

ასეთივე ბედი ეწვია სხვებსაც, თუ მმართველ კლასების მიერ სისხლის წოვას საზღვარი არ დაედება.

საერთაშორისო ბიურო ფიქრობს, რომ ყველა ქვეყნების პროლეტარიატის ვალია მიიღოს ყოველი შესაძლებელი ზომები, რათა ხელი შეუშალოს უნგრეთის მუშათა მოძრაობისა და უნგრულ მუშათა ორგანიზაციების საფუძვლიან განადგურებას.

კაცთმოყვარეობის ელემენტარულ პრინციპების სახელით ბიურო აცხადებს თავის ენერგიულ პროტესტს იმ ტანჯვა-წამების გამო, რასაც დღეიმდე ჰქონდა ალაგი. ბიურო მოითხოვს, რათა უნგრეთის მთავრობამ შესწყვიტოს ყოველგვარი დევნა.

ბიურო მოითხოვს მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობისაგან, აიძულონ უნგრეთის მთავრობა დააკმაყოფილოს პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ფედერაციის (კავშირის) ჰუმანური მოთხოვნილებები.

ბიურო აცხადებს, რომ თუ საპყრობილეებში და კონცენტრაციულ ბანაკებში მოყოლილი ყველა ამხანაგები არ იქნებიან განთავისუფლებულნი და მთლად არ მოისპობა უნგრეთის მთავრობისა და აგენტთა ბანდების მხრივ უსამართლო რეპრესიები,—ამ შემთხვევაში იგი მიიღებს ენერგიულ ზომებს თავის მოთხოვნილებების დასაცავად.

ბიურო მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროფესიონალურ კავშირებს, განსაკუთრებით ტრანსპორტში, რკინის გზაზე და ფოსტა-ტელეგრაფში მოსამსახურეებს, რათა მათ საერთაშორისო ბიუროს პირველ მოწოდების თანავე შესწყვიტონ მუშაობა, რაც პირდაპირი თუ არა პირდაპირი გამსახურება უნგრეთის მთავრობის საჭიროებებს.

ამხანაგებო! პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიურომ უკვე გაუგზავნა თავისი მოთხოვნილებები უნგრეთისა და მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებს. მათ პასუხზე იქნება დამოკიდებული,—საჭირო იქნება თუ არა ენერგიული ზომების მიღება.

თუ დევნა არ იქნება შეწყვეტილი, მაშინ ჩვენ ჩვენი უნგრელ ამხანაგების ტანჯვა-წამების სამაგიეროთ ბოიკოტს გამოვუცხადებთ უნგრეთს ამ თეთრი ტერორის ქვეყანას.

ამხანაგებო, პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს თქვენი იმედი აქვს. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა საერთაშორისო სოლიდარობას!

საერთაშორისო ბიურო პროფესიონალურ კავშირებისა: თავმჯდომარე აპლეტონი; მისი ამხანაგები: ჟუო, მერტენსი; მდივნები: უდეგესტი, ფიმმენი.

ბაქო

ოფიციალური ცნობით, სომხეთა შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებული ასკერანი 28 მარტს [illegible] აზერბეიჯანის რეგულიარულმა ჯარებმა ხელახლა დაიბრუნა. ამის შემდეგ ჯარები წაყვანილ იქნა ხანკენდის და შუშის გარნიზონების გასანთავისუფლებლათ, რომლებიც გარშემორტყმული არიან აჯანყებული სომხებით.

— 29 მარტს ბალახანში შესდგა მუსულმან მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე გარჩეულ იქნა ყარაბაღის და საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხები. ყარაბაღის შესახებ მიტინგი მოითხოვს მთავრობის მიერ გაბედული ნაბიჯების გადადგმას, რათა აიძულოს არარატის მთავრობა გაიყვანოს რეგულიარული ჯარის ნაწილები ყარაბაღიდან და ზანგეზურიდან. საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ მიტინგი მომხრეა დამყარდეს კეთილმეზობლური განწყობილება რუსეთთან, უკეთუ საბჭოთა რუსეთი აღიარებს აზერბეიჯანის დამოუკიდებლობას და პირობას დასდებს არ შეეხოს მის ტერიტორიას, წინააღმდეგ შემთხვევაში,—აზერბეიჯანის და საბჭოთა რუსეთის დემოკრატიათა შორის ჩამოვარდნილი შუღლისა და ძმათ ხოცვების მიზეზი იქნებიან საბჭოთა რუსეთის ახლანდელი მესვეურები.

— 1 აპრილს საღამოს 7 ს. გოგოლის ქუჩის კუთხეში—ფურნეში, პოლიციამ აღმოაჩინა ორი ყუთი, რომელშიაც 14 ყუმბარა იყო. იქვე აღმოაჩინეს 1 ყუთი სავსე ყუმბარების კაპსიულით. ფურნის გამგე შეიპყრეს. ორლოვის ქუჩაზე აღმოჩენილ იქნა საველე ტელეფონის აპარატები და 19 ბოჭკო სხვადასხვა ასაფეთქებელი მასალები.

— პარლამენტის სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციამ მთავრობიდან გაიწვია ფრაქციის წევრი გაჯინსკი (ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი).

— ამიერ-კავკასიაში მყოფ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის კომისრებისაგან აზერბეიჯანის მთავრობამ წინადადება მიიღო შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება. ასეთივე წინადადება გაეგზავნა სომხეთსაც.

ინგლისი, საფრანგეთი და ბაქოს ნავთი

გაზ. „ტან"-ი ეხება სათბობ მასალით უზრუნველყოფის საკითხს და სწერს:

„ჩვენი გამარჯვების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ სამხედრო ფრონტის მთლიანობას ეკონომიური ფრონტის მთლიანობაც მოჰყვებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დღეს ცხადია, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ომის დროს მთელ თავიანთ ძალ-ღონეს სამხედრო საქმეებს ანდომებდენ,—დღეს უმწეო მდგომარეობას განიცდიან. მეორე მხრივ ისინი, ვინც ნაწილობრივათ ქვეყნის კეთილდღეობასაც აქცევდენ ყურადღებას, დღეს პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან.

საფრანგეთი დიდ გაჭირვებას განიცდის ფულის კურსის დაცემით და სათბობ მასალის უქონლობით. ეს ორი საკითხი მჭიდროთ არიან ერთმანეთზე გადაჯაჭვული. მართლაც, ცხადია, თუ სათბობ მასალას იმ ქვეყნიდან შემოიტანს, სადაც ჩვენი ფრანკების კურსი დიდი არის, მაშინ ჩვენი ფულის კურსიც გაჯანსაღდება. შეიძლება ასეთი გეგმები განუხორციელებელი იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მთავრობის პოლიტიკა აქეთ უნდა იყოს მიმართული.

როგორი საშუალებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ მიზნის მისაღწევად? არის სამი საშუალება: საკუთარი სათბობ მასალის დამუშავება, საკუთარი წყლების გამოყენება ამავე მიზნისთვის და შემდეგ სათბობ მასალის შეძენა ისეთ ქვეყნებში, სადაც ჩვენი ფრანკის ფასი დიდი არის. უკანასკნელი [illegible], ჩვენის აზრით, ეხლავე [illegible] მოყვანილი და ამას შეუძლია თვალსაჩინო სარგებლობა მოუტანოს ახლო მომავალში. ზამთრის დასაწყისში ბევრს ლაპარაკობდენ ნავთის შესახებ; შემდეგ მსჯელობა მისწყდა. და ეს მაშინ, როდესაც ნავთს ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთი ტონი ნავთი სითბოს ენერგიით ორ ტონ ნახშირს უთანაბრდება. რომ თავიდან აეცილებინათ ინგლისიდან და ამერიკიდან ნახშირის შემოტანა, ჩვენ შეგვეძლია ნავთი შემოვიტანოთ რუმინიიდან, კავკასიიდან და გალიციიდან, სადაც ჩვენი ფულის კურსი კარგია. ამით შემცირდება ჩვენთვის ინგლისური გირვანქებისა და ამერიკული დოლლარების საჭიროება.

მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება გვიდგება წინ: ამ ქვეყნებში გავლენა აქვთ ზოგიერთ ჩვენს მოკავშირეებს, რაც მოითხოვს ისევ მათთან დავიჭიროთ საქმე.

ამის ტიპიური მაგალითი კავკასიაა. ბაქოში ბევრი ნავთია, რაც ასე ესაჭიროება ჩვენს მრეწველობას. როგორ მივიღოთ ეს ნავთი? პირველათ ეს ნავთი ბათომში უნდა იქნეს გადატანილი. შემდეგ აქედან ჩვენს ნავთსადგურებში. ჩვენ ბევრი არა გვაქვს ნავთის გადასაზიდი გემი. რამდენიმე მაინც გვაქვს. მაგრამ ეს გემები წავლენ კი ბათომში ნავთისთვის ან მაზუთისთვის?—არა! ისინი თავისი საქონლისთვის ამერიკაში წავლენ.

ამის მიზეზი შემდეგია. რათა ბაქოდან ბათომში გადატანილ იქნეს ნავთი, იქ მოწყობილია: 1) ნავთსადენი, რომელსაც, მართალია, აქვს ზოგიერთი დეფექტები, და 2) ვაგონები—ცისტერნები. სამწუხაროთ, როგორც ერთი, ისე მეორე ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფება და ნავთის გამოტანა ინგლისის უნებართვოთ შეუძლებელია. ნავთის გამოტანის საქმე ფაქტიურათ თითქმის სავსებით ინგლისის მონოპოლიას შეადგენს. ამრიგათ, კავკასიის ნავთი ბათუმში მოსვლის შემდეგ ნამდვილათ ინგლისის ნავთად იქცევა. ამის გამო, იმის მაგივრათ, რომ ბაქოში იყიდოს ნავთი ფუთი 25 მან. და ისარგებლოს ჩვენი ფულის კურსის სიჯანსაღით, საფრანგეთი იძულებულია ბათუმში გადაიხადოს გირვანქა სტერლინგებით. ნავთის ფასს ზედ ერთვის კიდევ ფრახტი, რაც იმავე ინგლისურ ვალიუტით უნდა იქნეს გადახდილი.

და ეს მიუხედავათ იმისა, რომ არც ნავთსადენი, არც ვაგონი—ცისტერნები ინგლისს არ ეკუთვნის. უწინ ექსპორტიორებს შორის ვაგონების განაწილება ნავთის მრეწველთა ყრილობის საშუალებით ხდებოდა; ყრილობაში შედიოდენ მწარმოებლები და მექარხნეები. ამ უფლებამოსილებას იცნობდენ; მის ავტორიტეტს არავინ უარყოფდა. ძველი რუსეთი არას დროს არ ერეოდა ვაგონების განაწილების საქმეში. რევოლიუციის პროცესში დაარსებული ახალი სახელმწიფოებიც სათანადო ანგარიშს უწევდენ ამ უფლებამოსილებას და კმაყოფილი იყვნენ მისი მუშაობით. სამწუხაროა, რომ ინგლისმა გვერდი აუარა ნავთის მრეწველთა ყრილობას.

მიუხედავათ ამისა, ნავთით საფრანგეთის მთავრობას არ შეუძლია გაამტყუნოს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს ერთნაირი უფლებები აქვთ კავკასიაში. ნავთი ესაჭიროება არა მარტო ინგლისს. თხევადი სათბობი მასალა მით უფრო საჭიროა საფრანგეთ-იტალიისთვის, რომ ეს ქვეყნები დიდ ნახშირის კრიზისს განიცდიან. ამიტომ ლოღიკური იქნებოდა, რომ კავკასიიდან გამოსატან ნავთზე ამათაც განეცხადებინათ თავიანთი უფლება. ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა საფრანგეთისთვის, ვინემ მესოპოტამიის ნავთის ნაწილი, რომელსაც მას ჰპირდებიან.

ნავთის საკითხის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მთავრობებს შორის. ჩვენი მოთხოვნილებები იმდენათ სამართლიანია, რომ ჩვენს ნამდვილ მეგობრებს არ შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ და თანაგრძნობით არ შეხვდნენ მას.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 აპრილი.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობები.

დასავლეთის ფრონტი.

მოსკოვი. 3 აპრილი. მოზირის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტერი გამორეკეს [illegible] სელიშჩიდან და მიუახლოვდნენ მდ. [illegible] ბრძოლა გრძელდება. [illegible] რაიონში გრძელდება სასტიკი [illegible] ბერდიჩევ-შეპეტოვკის რკინის გზის [illegible] სამხრეთით და ქ. [illegible] კავკასიის ფრონტი. მაიკოპის რაიონში ჩვენმა ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღეს სოფ. [illegible] დერბენტის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა აიღეს სად. მანასი და ისინი რკ. გზის მიმართულებით წინ მიიწევენ.

მოსკოვი, აპრილის 4. დასავლეთის

ფრონტი. მურმანის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სოფელი ტოლვუი და სალმ-იარვი. მტერი ფინეთისა და ნორვეგიისაკენ გაიქცა. მეზინის რაიონში ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე სოფელი დაიკავეს. დაბა გორეცკის დასავლეთით 30 ვერსზე ბრძოლა გრძელდება. ოვრუჩ-კოროსტენის რაიონში ჩვენი ნაწილები ოვრუჩის ჩრდილოეთით 40 ვერსზე ბრძოლას აწარმოებენ. ლეტიჩევ-ჟმერინკის რაიონში ბრძოლები ჩვენდა სასარგებლოთ გრძელდება. სამხრეთის ფრონტი. პერეკოპის რაიონში მტერი, რომელიც პერეკოპის ჩრდილოეთით შეტევას აწარმოებდა, ამ ქალაქის სამხრეთისაკენ უკუ ვაგდეთ. კავკასიის ფრონტი. შავი ზღვის სანაპიროზე ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს ტუაპსეს ჩრდილო დასავლეთით 10 ვერსზე მდებარე ნებუგსკაიაზე, მაიკოპის რაიონში ჩვენი ნაწილები ტუაპსის რკინის გზის მიმართულებით უკან დახეულ მტერს სდევნის. პეტროვსკის რაიონში ჩვენ დავიკავეთ ბუინაკი, რომელიც პეტროვსკიდან სამხრეთ-დასავლეთით 30 ვერსზე მდებარეობს. აღმოსავლეთის ფრონტი. ჩუგუჩაკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ჩინეთის საზღვრების გასწვრივ ყარაულობას ეწევიან.

ბრძოლა „ბანდებთან“.

კიევი. სხვადასხვა ადგილებიდან მოსულია ცნობები ბანდების მოქმედების შესახებ. ჩიგირინის მაზრაში წითელი დივიზიების მიერ განადგურებულ იქნა პეტლიურას მომხრე ჩერნეკის ბუდე ბანდიტებისა, ჩერნეკი თავისი შტაბით დატყვევებულ იქნა. ლიპოვეცის მაზრა თითქმის სრულებით გაწმენდილია ბანდიტებისაგან.

ნაოსნობა დნეპრზე.

კიევი. 27 მარტი. მდ. დნეპრზე ნაოსნობა განახლდა.

ბოროტება როსტოვში.

მოსკოვი. 4 თეთრ გვარდიელებმა ბატაისკში გამოგზავნეს დიდძალი მოწამლული ღვინო. როსტოვში მომხდარი დარბევის დროს მოკლულია 7000 კაცამდე.

ჩხრეკა ეკლესიებში.

პსკოვის ეკლესიებში მოახდინეს ჩხრეკა. ლიუტერანთა ეკლესიაში დამალული აღმოჩნდა ორი ტყვიისფრქვევი, მეორე ეკლესიაში ნახეს სურსათ-სანოვაგე, ტანისამოსი, სპილენძისა და ვერცხლის ფულები.

დენიკინმა დაიგვიანა.

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დენიკინისაგან მიიღო ცნობა, რომ მისმა მთავრობამ განაპირა სახელმწიფოთა აღიარება გადასწყვიტა. მაგრამ ამ ცნობამ ცოტათი დაიგვიანა, რადგან დენიკინი და მისი მთავრობა ახლა უკვე აღარ არსებობს და თვით მათ აღარავინ არა სცნობს.

საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია.

ჩვენი სავაჭრო დელეგაცია კოპენჰაგენში ჩავიდა. დელეგაციის თავმჯდომარე კრასინი საქმეებისათვის სტოკჰოლმში დარჩა, მაგრამ კოპენჰაგენში იგიც წავა.

რურის ოლქში.

რურის ოლქში საყოველთაო გაფიცვა მუშებისა და მთავრობის შეთანხმებით გათავდა. დროებით ზავის შესახებ დადებულ პირობის თანახმად განთავისუფლეს ყველა დატყვევებული მუშა და ნება მისცეს მუშათა არმიის შედგენისა, მეჯარისეებს აეკრძალეს დაითხოვონ მუშები, რომლებიც მუშათა არმიაში იქნებიან.

ტრანსპორტის საქმე.

კომუნისტთა პარტიის ყრილობა ადგილობრივ ორგანიზაციებს მოაგონებს, რომ რადგანაც რკინის გზებზე სატრანსპორტო სამუშაოთა დანიშნულ ხუთი ათასი კომუნისტის კომპლექტი შევსებული არ არის, ამიტომ საჭიროა ეს საქმე ამ ორ კვირაში მოწესრიგებული იქნეს. პარტიულმა კომიტეტებმა გზათა მთავარ კომიტეტების განკარგულებაში უნდა მისცეს საუკეთესო მომუშავენი და ყოველგვარი ღონით დაეხმარონ გზათა მთავარ კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს რკინის გზაზე ტრანსპორტის საქმის გაუმჯობესებაში.

პოლონეთის პირობები.

მოსკოვი აპრილის 5. საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა საბჭოთა რუსეთს, რომ პოლონეთს მიზნათ არა აქვს სამხედრო მოქმედების შეწყვეტა საზავო მოლაპარაკების დროს და წინადადებას იძლევა, რომ სამხედრო მოქმედება შეწყდეს მხოლოდ ბორისოვის ფრონტზე, სადაც უნდა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ჩიჩერინი მიუღებლათ სთვლის, რომ საზავო მოლაპარაკება დაიწყოს სამხედრო მოქმედებათა ცენტრში და მთელ პასუხისმგებლობას პოლონეთის მთავრობას აძლევს. ჩიჩერინი წინადადებას აძლევს, მათ, რომ საზავო მოსალაპარაკებლად დანიშნონ პეტროგრადი, მოსკოვი ან ვარშავა იმ პირობით, რომ ორივე მხარეს საშუალება მიეცეს ისარგებლოს ტელეგრაფით და უზრუნველყოფილი იყოს კორესპონდენციის საიდუმლოება.

ბოლშევიკების ანტანტასადმი დენიკინის შესახებ.

დენიკინი მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბეიჯანთან, რომ მათ გაუშვან თეთრგვარდიელები, რომელთაც უკან დასახევი ადგილი აღარა აქვთ. დენიკინის ჯარები ჯერ კიდევ ყირიმში მიდიან. რა ხდება საზღვარ გარეთ ბოლშევიკების ცნობით?

მთავრობის ჯარები ესენში მუშებს მძიმე არტილერიით ესვრიან. წითლები საშინელ ხელჩართულ ბრძოლაში გადავიდნენ სტრალზუნდში. ყოველგან გაფიცვები იწყება. პრაღის კავშირთა საბჭო საყოველთაო გაფიცვას აცხადებს. მუშაობა შესწყდა საქსონიის ქარხნებში, გაფიცულნი არიან მემადნეები და მელითონენი.

სინდიკატთა კავშირს მიზნათ აქვს განუსაზღვრელ დროით გაფიცვა გამოაცხადოს; რათა მიაღწიოს საერთო ამნისტიას, საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულობის აღდგენას და ევროპისა და ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთის მიერ დატყვევებულ ადგილებიდან ჯარების გამოყვანას.

შავი ზღვის ფლოტი.

ოდესა. 3 აპრ. მიღებულ ცნობების თანახმად შავი ზღვის ფლოტში ოფიცერთა მატროსებისადმი დამოკიდებულება საშინელი მკაცრია. მეზღვაურები მზათ არიან აჯანყება მოახდინონ.

ინგლისური ცნობები.

(კონსტანტინოპოლიდან)-

დარდანელის ინტერნაციონალიზაცია.

„ტაიმსი“ იუწყება, რომ სრუტეების საერთაშორისო კომისიამ დარდანელების დეპუტაცია მიიღო, კომისია მოითხოვს დარდანელების ინტერნაციონალიზაციას, ერთა ლიგის ხელმძღვანელობით.

ფრანგული ცნობები.

გაფიცვის დასრულება

საქსოვი სამრეწველოების გაფიცვები დასრულდა.

დანიაში.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: მეფის მიერ მინისტრ ზალეს დათხოვის შემდეგ სინდიკალისტებმა მოწოდება გამოუშვეს და მუშებს გაფიცვისაკენ მოუწოდებენ. ისინი აცხადებენ: მათი მიზანია მიაღწიონ პარლამენტის მოწვევას, რათა კენჭი უყარონ ამომრჩეველთა ახალ კანონს. შემდეგ სამართლიან საფუძველზე დეპუტატთა არჩევნებს შეუდგნენ.

პრინცი იოახიმი.

ბერლინიდან მოსული ცნობით საიმპერიო სასამართლოს დადგენილებით პრუსიის პრინცი იოახიმი განთავისუფლეს.

ნიტის საგარეო პოლიტიკა.

ნიტიმ სენატში სიტყვა წარმოსთქვა საგარეო პოლიტიკის შესახებ. მთავრობას 107 ხმით 11 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადეს.

სამეცნიერო კომიტეტი.

რესპუბლიკის პრეზიდენტ დეშანელის მფარველობის ქვეშ პარიზში დაარსდა კომიტეტი, რომლის მიზანსაც საფრანგეთში სამეცნიერო გამოკვლევათა ინსტიტუტის დაარსება შეადგენს. საპატიო თავმჯდომარე რაიმონდ პუანკარე, ჟორჟ კლემანსო და საფრანგეთის მარშლები... (დამახინჯებულია) ინსტიტუტს დაერქმევა „გამარჯვების ინსტიტუტი“.

მთავრობის კრიზისი და საერთო გაფიცვა.

დანიიდან მოსული ცნობებით, შესაძლებელია, რომ კრიზისმა საერთო გაფიცვების მოუხდენლად ჩაიაროს. მთავრობამ 22 აპრილისათვის ფოლკეტინგის ახალი არჩევნები დანიშნა. ფოლკეტინგი 14 აპრ. სადღესასწაულო უქმეების შემდეგ შეიკრიბება, რათა განიხილოს ზოგიერთი კანონ-პროექტები, სხვათა შორის ამომრჩევლობის კანონის რეფორმების პროექტი.

რურის ოლქის გარშემო.

გერმანიის რწმუნებულმა მაიერმა თავისი მთავრობის სახელით ისევ მიმართა მილერანს თხოვნით, რომ ნება დართონ მას რურის ოლქში ახალი ჯარი შეიყვანოს. მეორე მხრით, მან აუწყა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ გერმანიის რამდენიმე რაზმი შეცდომით გავიდა ნეიტრალურ ზონაში ვეზელის ხაზის ჩრდილოეთით (დამახინჯებულია) მთავრობის ნება დაურთველად. მილერანმა სთხოვა გერმანიის რწმუნებულს, რომ მოსთხოვოს მან თავის მთავრობას ამ ჯარის უკან გაყვანა.

გერმანიის ნოტა მილერანს.

შაბათს, დაახლოვებით 3 საათზე საზავო კონფერენციის გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ გეპერტმა მილერანს, როგორც კონფერენციის თავმჯდომარეს, გერმანულ ენაზე ნოტით მიმართა. გერმანიის მთავრობა ამ ნოტაში აცხადებს, რომ მას არ შეუძლია კიდევ იცადოს რურის დაკავების ნებართვისათვის.

მანიფესტაციები კოპენჰაგენში.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან: დანიის სატახტო ქალაქში შაბათს დიდი მანიფესტაციები მოხდა. მანიფესტანტების დელეგაცია მეფესთან გაემგზავრა და გადასცა მას თავისი მოთხოვნილება. მეფემ განაცხადა: რომ ის განიხილავს, თუ რამდენათ საფუძვლიანია ეს მოთხოვნილება და ის ყველა პოლიტიკურ პარტიების ხელმძღვანელებს მოიწვევს მდგომარეობის გამოსარკვევათ.

კაბინეტის გადადგომა.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: სალი-ფაშას კაბინეტი ოფიციალურად გადადგა. ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტის შედგენას სულთანი მიანდობს ტევფიკ-ფაშას, ან დამად ფერიდ ფაშას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ლანჩხუთიდან თფილისს დაბრუნდა.

◆ ამიერ-კავკასიის კონფერენცია. გუშინ, 5 აპრილს უნდა განახლებულიყო ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე დასასწრებლად გუშინ ერევნიდან ჩამოვიდა სომხეთის დელეგაცია, რომელშიაც შედიან: გარეშე საქმეთა მინისტრი ოჰანჯანიანი, მამიკონიანი, ხაჩატურიანი და ბეგზადიანი. აზერბეიჯანის დელეგაციასაც გუშინ მოელოდნენ.

◆ სესხი ქუთაისს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ქალაქ ქუთაისს მიეცეს გრძელვადიან სესხად 6 მილ. მან.

◆ სანათი მასალის ნაკლებობის გამო ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა რესტორანების, სასტუმროების და სხვა დაწესებულებათა პატრონთ განათება შეამცირონ. ასეთი დაწესებულებები უნდა დაიკეტონ ღამის 11—12 ს.

◆ უკანონო რეკვიზიცია. შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთოთ განყოფილებაში მიღებული ცნობით, ქუთაისის მაზრაში ამაღლების თემის გამგეობა შესდგომია მცხოვრებთა ბეღლების დაბეჭდვას და ახდენს სიმინდის რეკვიზიციას. მცხოვრებლებს უტოვებს სულზე ფუთ ნახევარს და დანარჩენს 250 მან. ართმევს. ვინაიდან ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს, საერთოთ განყოფილებამ განკარგულება გასცა, რომ ამ გვარი მოქმედება შეწყვეტილ იქნეს.

◆ სახალხო უნივერსიტეტი. დღეს 6 აპრილს ლექციას წაიკითხავენ:

მე-3 განყოფილებაში (ჩუღურეთში) 1) ალ. წერეთელი—ისტორია; 2) დ. ასათიანი—საფრანგეთის რევოლიუცია.

ცენტრში 1) გ. ტურიაშვილი—ჰიგიენა, 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ ევროპიდან თფილისში დაბრუნდა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე [illegible] დარბინი, რომელიც გაგზავნილი იყო საქონლის მოსატანად. დარბინს კოოპერატივთა კავშირისათვის დიდძალი ფართლეულობა შეუძენია.

კ რ ე ბ ე ბ ი.

დღეს, 6 აპრილს, დილის 9 ს. წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიაში დანიშნულია სრულიად საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სხდომა.

— ოთხშაბათს, 7 აპრილს საღამოს 5 ს. შესდგება მუშების კომისარიატში არსებულ სანიტარული მზრუნველობის საბჭოს კრება. ამ კრებას სანიტარული ექიმის და მილიციის წარმომადგენლის დასწრება აუცილებელი საჭიროა (კახეთის ქ. № 1. სახალხო უნივერსიტეტის ბინა).

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე ბათომის კომიტეტმა შეაგროვა და დანიშნულებისამებრ გადასცა 1,400,000 მან. მუშათა არტელ „ბუნქა“-ს მუშებმა თავიანთ შორის შეაგროვეს დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გადასცეს 86,750 მან. ამავე მიზნით ხიქისტურიანცის ქარხნის მუშებმა შემოსწირეს 5600 მანეთი.

ქალაქის სასაკლაოს შესაკეთებლათ ქალაქის თვითმართველობამ გადადვა 706,118 მ. და 27 კაპ.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერისათვის ქალაქის თვითმართველობამ გადასდვა 100 ათასი მანეთი.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

4 აპრილს შესდგა ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ყველა კავშირების გამგეობებისა და საქარხნო კომიტეტების გაერთიანებული სასწრაფო სხდომა. დასწრო 400-მდე წევრი. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის ბ. ავალიანის, საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, მოხსენება ამხ. აბდუშელიშვილისა სატარიფო პალატის მუშათა სექციის მიერ მიღებულ რეზოლიუციის შესახებ და სეკრეტარიატის წარმომადგენლის ამხ. ჩხენკელისა სატარიფო საკითხის გამო სეკრეტარიატის დადგენილების შესახებ,—ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ყველა პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებისა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების გაერთიანებულმა სასწრაფო სხდომამ დაადგინა: მოიწონოს სატარიფო პალატის მუშათა სექციის გადაწყვეტილება და სცნოს დღევანდელ პირობებში ის გზა, რომელსაც ეს სექცია მიუთითებს, ერთად-ერთ მისაღებ და მიზან შეწონილ გზათ“.

რეზოლიუცია მიღებულია ყველა დამსწრეთა ხმით 8 წინააღმდეგ. 9 კაცმა თავი შეიკავა.

ზანგეზურში წარმოებულ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შესახებ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. საღირაშვილის განცხადება ყარაბაღში და ზანგეზურში სომეხ თათართა ჟლეტის შესახებ,—ქ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, ყველა კავშირების გამგეობებისა და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტების გაერთიანებული სასწრაფო სხდომა იმაღლებს თავის პროტესტის ხმას ერთი ერის მშრომელების მიერ მეორე ერის მშრომელთა განადგურების წინააღმდეგ.

მაგ ბნელ ძალთა ბოროტ-განზრახვების გავლენით მიესია ხალხები ხალხებს. გამხეცებულ ბრძოლაში იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლისა და ცრემლთა ზღვა, ნადგურდება ქალაქები და სოფლები და მტრები თავიანთ ვიწრო ინტერესებით დაავერანებენ თავიანთ ბოროტ განზრახვებს.

ჩვენ, ქ. თფილისის პროლეტარიატის სახელით, მივმართავთ აზერბეიჯანისა და სომხეთის პროლეტარიატს, როგორც დაინტერესებულს ხოცვა-ჟლეტის დაუყოვნებლივ შეჩერებაში, მოსთხოვოს თავიანთ მთავრობებს, რათა მიიღონ საჩქარო ზომები ამ ამბების სალიკვიდაციოთ.

ამასთანავე ჩვენ მივმართავთ ჩვენს მთავრობას თხოვნით, რათა მან თავის ენერგიული გამოსვლით ტრაგიკულ შემთხვევების რიგში იხსნას ამიერ კავკასიის ხალხი მთელ თაობათა ფიზიკურ განადგურების სისასტიკისაგან.

რეზოლიუცია მიღებულია ერთხმათ. (დაწვრილებით ანგარიშს ხვალ მოვათავსებთ).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

რ უ ს ე თ ი

ნოვოროსიისკის უკანასკნელი დღეები. ნოვოროსიისკის „მოხალისეთა“ მფლობელობის ქვეშ არსებობის უკანასკნელ დღეების გაზეთები საკმაოდ უშინაარსონი არიან, შიგ ცოტა ცნობებია იმის შესახებ, თუ რა ბედი მოელოდა ქალაქს. გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ გამოცემა გადატანილ იქნა სერბიაში; მისმა ერთ-ერთმა რედაქტორმა უკვე მოასწრო გაქცევა და თან წაიღო საგამომცემლო ფონდიდან მილიონი მანეთი. უკანასკნელ დღეებში გამოდიოდა გაზეთები: „მაიაკი“, „ჩერნომორსკაია გაზეტა“, „ვოენი გოლოს“ და სუვორინის „ვეჩერნეე ვრემია“. უკანასკნელი სამი დღით ადრე დაიხურა ქალაქის დაცემამდე, ვინაიდან მუშებმა უარი სთქვეს მის აწყობაზე.

ქალაქში ფრონტიდან მომავალი ჯარები, რომლებიც შემდეგ ყირიმში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, უკვე გახრწნილ მასას წარმოადგენდა. განსაკუთრებით უფრო ოფიცრობას ეტყობოდა. ისინი თვრებოდნენ და ათასგვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ ქუჩაში. ბლომად ჰქონდათ ფული ძარცვა-გლეჯას. ოფიცრობის გახრწნაზე, სხვათა შორის, ლაპარაკობს დენიკინის უკანასკნელი ბრძანებები: ქუჩები ავსებულია ახალგაზრდა მეომრებ-დეზერტირებით, რომლებიც ქეიფობენ ჩვენი ნაწილების სისხლზე. ამას ბოლო უნდა მოეღოს: 1) გაუქმდეს ყველა სამხედრო საზოგადოებები, რომლებიც გაჩრწნის ნიადაგზე აღმოცენდნენ და არ არიან დამტკიცებულნი. ასეული, რაზმი, ბატარეა, დივიზია—ეს მხოლოდ ჯანსაღი და ნამდვილი სამხედრო საზოგადოებანი; 2) აიკრძალოს ყველა მიტინგები და კრებები; 3) დაჭერილ და გასამართლებულ იქნან სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ ყველა სამხედრო დეზერტირები. ვინც რეგისტრაციას გაექცევა,—იცოდენ, რომ თუ ნოვოროსიისკის ევაკუაცია მოხდება, ისინი ღვთის ანაბარათ იქნებიან დატოვებულნი.

ქალაქის დაცემის 5—6 დღის წინათ, ალბათ, იმიტომ, რომ მიღწეული ყოფილიყო გარეგნული წესიერება მაინც, მოწყობილ იქნა ინგლისელ ჯარების აღლუმი. აღლუმში მონაწილეობა მიიღო ორმა რაზმმა. ერთი წინ მიდიოდა და თან მიყვებოდნენ ინგლისელი ორკესტრები და მუსიკა, მეორეს მიყვებოდნენ შოტლანდიელები. აღლუმი მიიღო გენ. დენიკინმა, რომელსაც გვერდით ედგნენ უმაღლესი ინგლისელი სარდლობა და საზღვაო პირები.

აღლუმის შემდეგ გენ. დენიკინი ესაუბრა ინგლისელ ოფიცრებს. ჯარებმა გაიარეს მთელი ქალაქი მუსიკით.

აზერბეიჯანი.

მუსავატის რეზოლიუციები. 30 მარტს შესდგა საერთო კრება „მუსავატის“ პარტიის საბჭოსი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მუშების რაიონულმა ორგანიზაციებმა.

კრებაზე მოსმენილ და გარჩეულ იქნა მიმდინარე მომენტი და გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუციები ყარაბაღის საკითხის შესახებ. ყარაბაღის სომხების მოღალატურმა თავდასხმამ გამოიწვია აღშფოთება მთელი აზერბეიჯანის ხალხისა. პროტესტს ვაცხადებთ რა ასეთი აქტის შესახებ, ჩვენ, სამწუხაროთ, იძულებული ვხდებით იარაღს მოვკიდოთ ხელი, რომ დავიცვათ ჩვენი სუვერენული უფლებები. მოვითხოვთ რა მთავრობისაგან ერთხელ და სამუდამოთ ყარაბაღის და ზანგეზურის საკითხის გადაწყვეტას, ჩვენ მოვუწოდებთ პარტიულ ამხანაგებს ყოველივე დახმარება აღმოუჩინონ მთავრობას ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის საქმეში. გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენი ხალხი მტკიცეთ აასრულებს მთავრობის ბრძანებებს, არ აჰყვება არავითარ პროვოკაციას, არ დაარღვევს მშვიდობიან ცხოვრებას იმ მომენტში, როდესაც მთელი ჩვენი ძალა მიმართული უნდა იყოს ყარაბაღის ავანტიურის ჩასაქრობათ.

დამოკიდებულება რუსეთთან. განიხილავდა რა საკითხს რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ, სავსებით ვიზიარებთ ჩვენი მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ დამყარდეს რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება.

ჩვენი მთავრობა მზათ არის მოლაპარაკება გამართოს რუსეთთან, თუ იგი იცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. აზერბეიჯანის მთავრობა, მთელი ხალხი, პარლამენტი არასოდეს მტრულ განწყობილებაში არ იყვნენ რუსეთთან და არც იქნებიან მომავალში, თუ უკანასკნელი იცნობს ჩვენ კანონიერ მოთხოვნილებებს—თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ჩვენ გვესმის, რომ აზერბეიჯანის რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს ეკონომიური ხასიათის კავშირი რუსეთთან; რომ რუსეთს ესაჭიროება ჩვენი ნავთი და გამოვდივართ რა ჩვენი მეზობლის ინტერესების გაგებიდან, სავსებით ვემხრობით,—რუსეთთან კეთილ მეზობლური კავშირის დამყარების საქმეში. ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკება გავმართოთ რუსეთთან ეკონომიურ საკითხების შესახებ. ჩვენ ყოველგვარ შეთანხმებაზე წავალთ, ეს მტკიცდება ჩვენი მთავრობის იმ მოლაპარაკებით, რომელსაც აწარმოებდა მოსკოვის კოოპერატიულ საზოგადოებასთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ. სამწუხაროდ, ჩიჩერინის ნოტა ეჭვს ბადებს, დამყარდება თუ არა მეზობლური განწყობილება ამ ორ სახელმწიფოს შორის. ჩვენი მთავრობა ორივე თავის ნოტებში მოითხოვდა გარკვეულ პასუხს საბჭოთა მთავრობისაგან: სცნობს ის თუ არა აზერბეიჯანს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. სანამდე აზერბეიჯანის მთავრობას არ მიუღია გარკვეული პასუხი, ჩვენ ეჭვი გვექნება საბჭოთა რუსეთის გულწრფელობაში. ჩვენ არ ვიცით საბჭოთა რუსეთი იქნება ჩვენი მეგობარი, რომელსაც დროშით აქვს რევოლიუციის ლოზუნგები, თუ გვიახლოვდება იგი მტრული მიზნით, რათა დაახშოს ჩვენი ქვეყნის თავისუფლება. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა რუსეთიდან გარკვეულ პასუხს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი აზერბეიჯანის ხალხი, იგრძნობს რა მოახლოვებულ საფრთხეს, მოემზადება თავდაცვისათვის და მისი დევიზი იქნება: „მოვკვდებით, მაგრამ არავის დავემონებით.“

ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ.

აზერბეიჯანის პარლამენტის სხდომაზე 1 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრმა მ. ვეკილოვმა ყარაბაღში მომხდარ ამბების შესახებ შემდეგი განაცხადა:

ყარაბაღში უკანასკნელად მომხდარი ამბების შესახებ, მოვალეთ ვთვლი თქვენ გაგაცნოთ საქმის ვითარება. 20 მარტს შუშაში მთავრობის ორმა მოხელე სომხებმა ბოლშევიკებმა ქალაქში შემოიყვანეს ორასი ხუთასამდე შეიარაღებული სომხები. 22 მარტს შეიარაღებულ პირთა რიცხვი ორასამდე გაიზარდა. ამ რაზმს შეუერთდნენ ქალაქში მცხოვრები სომხები. 22 მარტს ღამის 3 საათზე ეს შეიარაღებული პირნი თავს დაესხნენ ჩვენს ასკერებს. ასკერები არ მოელოდნენ თავდასხმას, თვით ქალაქის მცხოვრებნი „ნორაშენ ზანგიანის“ სახლებში იყვნენ, მაგრამ მაინც ჩვენმა ასკერებმა მოიგერიეს თავდასხმელები.

23 მარტს შუშა გაწმენდილ იქნა ბანდებისაგან. ამავე დროს სომხის სოფლების მცხოვრებნი თავს დაესხნენ ჩვენს ასკერებს ხანკენდში, მაგრამ თავდასხმაც მოგერიებულ იქნა. სომხებს დიდი ზარალი მიაყენეს. ერთსა და იმავე დროს თავს დაესხნენ ასკერანს, რადგანაც ასკერანში მცირე რიცხვი იდგა ჩვენი ასკერებისა, სომხებმა შესძლეს ქალაქის დაპყრობა. ჩვენ მოვიპოვეთ საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ აჯანყებას ხელმძღვანელობდა რომელიღაც გარეშე ძალა (ხმები: „ერევნის მთავრობა“) და მზადდება სწორეთ რამოდენიმე თვის განმავლობაში, შუშის მახლობელ სოფელში გაჩერდა ზარბაზანი და ეს იყო ნიშანი, რომ თავს დაესხნენ ჩვენს ასკერებს. გარდა ზემოხსენებულ პუნქტებისა თავს დაესხნენ სომხები კარიაგინოს, ზანგეზურს და ტერტერს ეს თავდასხმაც მოგერიებულ იქნა ასკერების მიერ, სადაც სომხებს დიდი ზიანი მიაყენეს. სომხების თავდასხმა განმეორებით დამთავრდა მხოლოდ ასკერანში, დანარჩენ ადგილებში როგორც ზევით გვქონდა მოხსენებული, ჩვენმა ასკერებმა დიდი ზიანით უკუ აქციეს. ასეთმა მოღალატურმა თავდასხმამ ჩვენ ასკერებზე დიდი აღშფოთება გამოიწვია მცხოვრებლებში. ყოველი მხრიდან პარტიზანული რაზმები მოდიან. მთავრობის მიერ მიღებული არის ზომები რათა ყარაბაღში ნორმალური ცხოვრება დამყარდეს.

ამ განცხადების შემდეგ პარლამენტში გაიმართა კამათი. ყველა ორატორები მოითხოვდნენ მიიღოს მთავრობამ სასტიკი ზომები ბანდების წინააღმდეგ.

დეპუტატი საყურადღებო [illegible] მინისტრს თუ რამდენათ სწორი ხმები [illegible] ასკერებში, ამაზე მინისტრი უპასუხებს, რომ ის დღეს დაბრუნდა. აცნობებს, რომ ასკერები გმირულად იბრძვიან. მათ კარგათ აცვიათ ტანზე, აქვთ ხალხი აძლევს სურსათს, სანიტარული ნაწილიც სათანადო სიმაღლეზე დგას. მთავრობამ სულ მცირე ხნის განმავლობაში გახსნა ლაზარეთები. აზერბეიჯანის ყოველი მხრიდან მოდიან სასანიტარო რაზმში სამუშაოთ—ინტელიგენტები. უნდა ვთქვა ასეთ ენტუზიაზმს—ამბობს მინისტრი როგორც ჯარში, აგრეთვე მცხოვრებლებში, მე გულწრფელათ ვაცხადებ, რომ ჩვენი სახელოვანი ასკერების საშუალებით ახლო მომავალში გავწმენდთ მთელ ჩვენ ტერიტორიას მტრებისაგან (ტაში).

სხდომის დასასრულ პარლამენტმა ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ახსნა მთავრობისა ყარაბაღში, ჩვენ ასკერებზე მოღალატურათ თავდასხმის გამო, რომელიც საფრთხეს უქადის ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას,—პარლამენტი მოითხოვს მთავრობისაგან სასწრაფოთ გადამჭრელ ზომების მიღებას აჯანყების ჩასაქრობათ და მიღებულ იქნას ზომები, რომ კვლავ არ განმეორდეს ისეთი გამოსვლები, რომლებიც იწვევენ არეულობას“. (აზერ.“)

ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

დღეს, დილის 9 საათიდან იქნება არჩევნები ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობისა. შეგნებული მუშები ყოველთვის ცდილობენ მუშათა კავშირის ხელმძღვანელები იყვნენ გამოცდილნი, მცოდნე მუშათა მოძრაობისა და ღირსეული დამცველი მუშათა ინტერესებისა. ეს ბუნებრივია და ასეც უნდა ხდებოდეს. მით უმეტეს უნდა გამოიჩინონ შეგნება და შორსმჭვრეტელობა ტრამვაის მუშებმა დღევანდელ არჩევნებში. ყველასათვის ცხადია თუ როგორი იყო და არის როლი ტრამვაის მუშებისა მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში. ტრამვაის მუშათა კავშირი მეორე ძლიერი მუშათა ორგანიზაციაა საქართველოში, რომლის ამა თუ იმ ნაბიჯს დიდი ცვლილება შეუძლია შეიტანოს საქართველოს დემოკრატიის ცხოვრებაში. საქართველოს მუშათა კლასის სწორი და მიზანშეწონილი ტაქტიკა უკვე ცნობილია მსოფლიო პროლეტარიატისათვის და ეს გზა და ტაქტიკა არ უნდა შეიცვალოს, თუ გვინდა სიცოცხლე საბოლოო მიზნისა. ამხ. მუშებო! საქართველოს საზღვრებთან რუსეთის წითელი არმიის მოახლოებამ დაბადა, როგორც [illegible] და აგრეთვე კომუნისტ-რუსეთის სოციალ დემოკრატ-ცენტრთა ბანაკი. არც ერთი ხმა ამათ ბლოკის სიას ნომერ სამს მათი გამარჯვება დაღუპვაა მუშათა კლასის და მისი მიზნისთვის. არც ერთი ხმა სინდიკალისტების სიას № 2. რომლებსაც არ იციან თავიანთი გზაც კი და მხოლოდ [illegible] უბრუნდებიან. არც ერთი ხმა დაშნაკელების სიას № 4 ვინაიდან ცნობილია დაშნაკების მუშების მზრუნველობა.

ხმა მიეცით საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის სიას № 1.

ერთი მუშათაგანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი თელავში

ამხ. წერეთლის მოხსენებას აუარებელი ხალხი დაესწრო. მოხსენებამ დიდათ დააინტერესა ხალხი. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„თელავის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანმა კრებამ 28 მარტს მოისმინა რა დამფუძნებელი კრების წევრის ა. წერეთლის მოხსენება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ წარსულში და დღეს, მიესალმება მთავრობას და დამფუძნებელ კრებას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრება წარსულშიაც აწარმოებდა სადაც საგარეო და საშინაო პოლიტიკას ჩვენი ერის დამოუკიდებლობის განამტკიცებლად და მომავალშიაც აწარმოებს ასეთსავე მტკიცე დემოკრატიულ პოლიტიკას. განსაკუთრებით დღეს სჭირდება საქართველოს სუვერენულ მთავრობას გაბედული პოლიტიკის წარმოება. ბათუმის საქართველოსთან შეერთების საკითხი, რომელიც უკვე საკმაოთ მომწიფდა და უკვე დიდი ხანია დღიურ წესრიგში დგას, აუცილებლად უნდა გადაწყდეს საქართველოს სასარგებლოდ. ბათომი საქართველოს უნდა შემოუერთდეს. ამას მოითხოვს მთელი ერი და ჩვენც მას ვუერთდებით.

კრების თავმჯდომარე ხ. მაჭავარიანი.

მთავრობაში

30 მარტის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

1) გადაიდოს პირველ ხანებში მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაში არსებულ თანხიდან 75 მილიონი მანეთი აბრეშუმის პარკის, თამბაქოსა და მატყლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად. 2) სესხი მიეცემათ როგორც კერძო მეურნეებს, ისე მეურნეთა კავშირებს. 3) სესხი მიეცემათ მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ შუალობით ან სახელმწიფო, კერძო და კოოპერატიული ბანკების და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საშუალებით. 4) მეურნე, რომელიც სესხს მიიღებს პირველ მუხლში აღნიშნული ნაწარმოების მთელ მოსავალს აბარებს მთავრობას. 5) მთავრობა ნაწილს მეორე მუხლში აღნიშნულ ნაწარმოებისას ყიდის ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დანარჩენს უცხოეთში.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნულ ნაწარმოებს ანაწილებს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათ მოქმედების და მომარაგების სამინისტროს, სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მწარმოებელთაგან შემდგარი კომისია. მწარმოებელთა წარმომადგენელს ნიშნავს ან კავშირი მეურნეთა ან სამაზრო ერობის გამგეობა, სადაც კავშირი არ არსებობს.

6) მთავრობისათვის გადაცემულ საქონელში მწარმოებელი მიიღებს საქონლის თვითღირებულებას, და წმინდა მოგებიდან 30—50 პროცენტამდის, ნაწარმოების ხასიათის მიხედვით, რაიცა ცალკე დადგენილებით უნდა აღინუსხოს.

შენიშვნა: 1. თვითღირებულება საქონლისა გამოკვლეულ იქნება კომისიის მიერ, რომელიც უნდა შესდგეს ფინანსთა ვაჭრობა მრეწველობის, მიწათ-მოქმედებისა და მომარაგების სამინისტროსა, ერობათა და მწარმოებელთა წარმომადგენელთაგან.

შენიშვნა: 2 წმინდა მოგებათ ითვლება საქონლის გაყიდვიდან ამოღებული ფასი, თვითღირებულებისა და ყველა ხარჯების გამოკლებით.

უცხოეთის ვალიუტა გადადის მთავრობის განკარგულებაში შეთანხმებით.

წერილი ბათომიდან

ყველას მოეხსენება ბათომში არსებული ატეხილი სიძვირე, რასაც ართულებს სხვა და სხვა ფულების ტრიალი. ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ჯარიმები, რომელიც კისერზე აწვება უბრალო სოფლის ხალხს. სულ არია ყველაფერი აქაურმა პროპაგანდამ, არიან უპასუხისმგებლო პროპაგანდისტები სომხების, ადერბეიჯანის, ბოლშევიკების, ოსმალების და სხ. ბოლო ხანებში ისინი მუქარასაც მიმართავენ: მოდის ოსმალეთის და ბოლშევიკების ჯარები და თუ ჩვენ არ დაგვიჭერით მხარი, ცუდი დღე დაგადგებათო. მაგრამ კარგად იცის ხალხმა, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე. მან ეს გამოსცადა და იცის. მას ახსოვს რუსეთის და ოსმალეთის ჩინოვნიკების ბრძოლა აჭარაში. ახსოვს იმ საშინელ გაჭირვების დროს ვინ გაუწოდა აჭარას ძმური ხელი თუ არა ქართველებმა; ვინ გაიზიარა მათი ტკივილები? რასაკვირველია, მან, ვისაც ეს შეეძლო—საქართველომ. კარგად ახსოვს აჭარის ხალხს მაშინდელი „[illegible]" ზოგიერთებისა და არც იმას დაივიწყებს, რომ რუსები მთელი თავისი ბატონობის ხანაში ჩაგვჩინჩინებდნენ თურქები ხართო. როცა სასწავლებელს გახსნიდნენ, ბერძენს, ან რუს მასწავლებელს გზავნიდნენ. როცა ჩვენმა ბავშვებმა ქართული კიდეც არ იცოდნენ, ვინ გამოგვიწოდა ძმური ხელი აქაც? რასაკვირველია, საქრისტიანო საქართველომ. ქ. წ. კ. გ. საზოგადოებამ შესძლო თითქმის ყველგან გაეხსნა სკოლები და მით აენთო ჩვენში ლამპარი განათლებისა. სამწუხაროდ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჯერ ოსმალთა და შემდეგ ინგლისელთა წყალობით ეს სკოლები გაუქმებულია.

მართალია, ჩვენი ხალხი არ არის განვითარებული, მაგრამ იმისი უნარი მაინც აქვს, რომ ყოველთვის დაინახოს მტერ-მოყვარე. ტყუილად ნუ იწუხებენ თავს, ნურც რუსები, ნურც ბოლშევიკები და დენიკინელები, სომხები და ადერბეიჯანელები.

ოსმალთა კი კაცობა ერთი წლის წინათ განიცადა სამაჰმადიანო საქართველომ. მადლობას უძღვნით ინგლისელებს მოწყალებისათვის, რომ ცალკე სახელმწიფოდ გვცნობენ, მაგრამ სჯობია ეს მოწყალება თავისთვის შეინახონ და ჩვენ კი შევუერთდებით ჩვენს ძმებს საქრისტიანო საქართველოს. ჩვენ გვწამს, რომ საქრისტიანო საქართველო კვლავ გაგვიწევს ძმურ მფარველობას. ვინც რა უნდა სთქვას, ვინც რა უნდა ქნას, მაგრამ სამაჰმადიანო საქართველოს და საქრისტიანო საქართველოს ერთმანეთს ვერ დააშორებენ.

ვთხოვ სხვა რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ფერად ლორთქიფანიძე.

პროფესიონალურ კავშირებში

ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

ლითონზე მომუშავეთა მუშები ითვლებოდნენ მუდამ ავანგარდათ მუშათა მოძრაობაში.

რუსეთის დიდი ქარხნების—პუტილოვის, ობუხოვის და სხ. მუშები მუდამ პირველ რიგში იდგნენ ძველ რეჟიმთან ბრძოლაში.

მათ აძლევდა შეგნებას ბრძოლის მეთოდი კაპიტალიდან შრომის განთავისუფლებისა და დაკავშირებული ხელით გაბედულად მიჰქონდათ წითელი დროშა მშრომელი ხალხის დიადი მომავლისაკენ.

ლითონზე მომუშავეთა მჭიდრო ორგანიზაციული მოქმედება და მათი შეგნება სავსებით ახასიათებდა მათ პროფ. კავშირებსაც დიდ ქალაქებში, რომლებიც მუდამ სარგებლობდნენ დიდი გავლენით და ავტორიტეტით.

უნდა ვფიქრობ, რომ თფილისის ლითონზე მომუშავეთა კავშირიც შესძლებდა მუშაობის ორგანიზაციულად შეკავშირებას და თფილისის პროლეტარიატის ავანგარდობას. მაგრამ სამწუხაროდ ეს კავშირი უფსკრულის პირს მიადგა: ამას, რასაკვირველია, ჰქონდა თავისი ძირითადი მიზეზები.

პროფესიონალური კავშირების უმთავრეს მიზანს შეადგენს მუშათა ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება. ამას უნდა ეწირებოდეს ამ დარგში ხელმძღვანელების და მთელი წევრების ენერგია. ცხადია ისიც, რომ ეკონომიურ კითხვებთან ერთად გადაბლართულია პოლიტიკური კითხვებიც, რის გადაჭრაშიაც მუშათა ხალხი აქტიურად იღებს მონაწილეობას იმდენად, რამდენადაც ეს არ უშლის ხელს ეკონომიური კითხვების გადაჭრას.

მაგრამ ხშირად ზოგიერთი პროფესიონალური კავშირები პოლიტიკურ კითხვებს პირველ რიგში აყენებენ, მას ანდომებენ მთელ მუშაობას. ეს კი ბადებს პარტიულ შეჯახებებს და ამ რიგათ გატაცებული პარტიული ფანატიკოსობით, ივიწყებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას და პროფესიონალურ კავშირს აქცევენ პოლიტიკურ ორგანიზაციათ. ეს კი ბადებს განხეთქილებას წევრთა შორის, რომლებიც იყოფიან ორ ბანაკად და ერთი მეორეს ებრძვიან; ეს კავშირს ძალიან ასუსტებს, მისი ძალები იხარჯება და იმ დიდ მუშათა საქმეს ეკონომიურს, და კულტურულ-განმანათლებლის ველარ აწესრიგებს.

ასეთი ბედი ეწვია ლითონზე მომუშავეთა კავშირს. მას სათავეში ჩაუდგნენ მაქსიმალისტები, გააჩაღეს კავშირის წევრებს შორის „პარტიული [illegible]" და ამით მიიყვანეს კავშირი დაღუპვის კარამდე.

არა ერთსა და ორ საზოგადო კრებაზე მიუთითეს ჩვენმა ამხანაგებმა და აგრეთვე სხვათ მოაზროვნე კავშირის წევრებმა ასეთ დამღუპველ პოლიტიკაზე. უმრავლესობა მოითხოვდა გამგეობის გადაყენებას, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნილებას ისინი მუდამ უპირდაპირდებოდნენ თავლითობით, ძალადობით და სხვა და სხვა მახინჯობით უმცირესობას აბატონებდნენ უმრავლესობაზე.

ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს ვერ გასტანა და არსენალის, საარტილერიო, საინჟინერო საწყობების და ძმ. ვახნინაძის ქარხნის მუშებმა, რიცხვით 600 კაცმა (კავშირში კი 900 წევრია) მოიწვიეს კრება, 4 აპრილს საზოგადო კრება არსენალის თეატრის დარბაზში. განსახილველი ქონდათ: განახლებული ლითონზე მომუშავეთა კავშირის დაარსება, გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა და მიმდინარე კითხვები.

ძველი მუშა ლ. მამალაძე აკეთებს მოხსენებას ლითონზე მომუშავეთა კავშირის მოქმედების შესახებ, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ არსენალის მუშებმა ბევრი ვეცადეთ კავშირის გაჯანსაღებისათვის, მაგრამ ეს წყლის ნაყვა იყო და მივედით ისეთ დასკვნამდე, რომ უნდა გამოვეყოთ. აგრეთვე აზრი გამოთქვეს სხვა ქარხნების მუშებმაც. მსჯელობის შემდეგ მიიღეს კ. კოპალეიშვილის მიერ შემოტანილი რეზოლუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ძველი ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მოქმედების შესახებ მივიდით მხედველობაში მათი შემდეგი მოქმედებანი: კავშირში ითვლება 900 წევრი მათ შორის არსენალის საარტილერიო და საინჟინერო საწყობების მუშებს, 600 წევრს, შეაქვთ რეგულიარულად საწევრო გადასახადი, დანარჩენებს კი არ შეუტანიათ სამი თვის განმავლობაში. აგრეთვე არ შეუტანიათ ელექტრონზე მომუშავეებს და შოფერების სექციებს, კავშირის თანხებით კი მომეტებულათ ისინი სარგებლობენ; შოფერების სექციიდან კავშირში ბოლშევიკების ბინების მოწყობა, ყალბი ფულების ქონა კავშირის ალარიში, უკანონო არჩევნები საზოგადო კრების თავმჯდომარისა, აგრეთვე არა წევრების კავშირის გამგეობაში არჩევანი საზოგადო კრებაზე გარეშე პირების საწევრო წიგნაკების გადაცემით შეშვება, სხვადასხვა არა დასაშვები პლაკატების მანიფესტაციებზე გამოტანა ერთი ჯგუფის მიერ, რომლებსაც ამის წინაღმდეგ იყვნენ უმრავლესობა და სხვა ბევრი ამისთანები, რამაც გვაიძულა დაგვეარსებინა განახლებული ლითონზე მომუშავეთა კავშირი.

ეს რეზოლუცია ერთხმათ იქნა მიღებული, რის შემდეგ აირჩიეს კავშირის გამგეობა 11 კაცისაგან და სარევიზიო კომისია. აგრეთვე კრებამ დაადგინა ერთხმათ მიენდოს ახალ გამგეობას მოსთხოვოს ყველა ანგარიშები ძველ ლითონზე მომუშავეთა კავშირს, მოაწყოს განახლებული ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი, რომელიც, იმედია, შემოიკრებს თავის გარშემო ყველა ამ დარგის მუშებს და შექმნის ერთ ძლიერ კავშირს.

ლ. მაშოშვილი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 1 აპრილს შესდგა ს. დ. მ. პ. მე 3 რაიონის კოლექტივის სხდომა, დაესწრო მთელი შემადგენლობა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები, მოხსენება არამიანცის საავადმყოფოდან მოსმენილ იქნა. კოლექტივმა გამოსთქვა მწუხარება, რომ ადგილობრივად ამხანაგები ვერ არიან შეკავშირებულნი პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციაში, ამიტომ კოლექტივი ირჩევს საზედამხედველო კომისიას, რომელსაც ევალება ადგილობრივად საკითხების მოწესრიგება.

მცირეთ ქალთა კავშირიდან მოსმენილ იქნა მოხსენება ინფორმაციის სახით. 1-ლ მცირე კოლექტივიდან მომხსენებელი ამხ. მ. ხუბუნაშვილი სხდომას აცნობს ქვე-კოლექტივის გადაწყვეტილებას, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ქვეკოლექტივს აქვს თავისი ბიბლიოთეკა, კანცელარია და სხვა, რომლის მოთავსება სასურველად მიაჩნია ქვე კოლექტივს იმ ორგანიზაციების გვერდით, რომლებიც თავმოყრილია ავლაბრის რაიონში, ამიტომ კოლექტივიდან დავალებით მოდის ხუბუნაშვილი, რომ კოლექტივმა აღძრას შუამდგომლობა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან, რათა ქვე-კოლექტივს დაეთმოს ერთი ოთახი სახალხო უნივერსიტეტის შენობაში.

არსენალთან დამოკიდებულებაზე კოლექტივმა იქონია მსჯელობა და რადგან მუშათა რიცხვი მეტად დიდია რაიონში, ამისთვის სასურველად სცნო არსენალის შინაგან კომიტეტმა იქონიოს დამოკიდებულება ავლაბრის რაიონის სოციალურ დამხმარე საზოგადოებასთან, რომელიც მიაწოდებს მას შრომის ბირჟასთან შეთანხმებით საჭირო მუშა ხელს.

რეგლამენტის შესახებ კოლექტივი მოაგონებს ამხანაგებს, რათა ეს უკანასკნელი მტკიცეთ იქნეს დაცული. ამხ. ხარქის ამბარცუმოვის განცხადების გამო კოლექტივი ავალებს ამხ. ს. თურმანიძეს გააშუქოს ძველ მუშათა კონფერენციაზე ამხ. ამბარცუმოვის პიროვნება და ახსნას ის გაუგებარი ბრალდებები, რაც ამხ. ამბარცუმოვის წინააღმდეგ იქნა წამოყენებული ძველ მუშათა კონფერენციის ერთ ერთ სხდომაზე.

დასასრულ კოლექტივი საჭიროდ სცნობს მოაგონოს ავლაბარში არსებულ პროფესიონალურ კავშირებს თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ ს.-დ. ფრაქციიდან კოლექტივის ჩვეულებრივ სხდომაზე.

ვერხვი.

მუშათა შორის

თფილისის არსენალი. ძნელად შეხვდებით ისეთ მუშას, რომელ დარგისაც უნდა იყოს, რომ დღევანდელ სიძვირეზე არ ჩიოდეს, მაგრამ არა მგონია ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ რომელიმე დარგის მუშები, როგორც ზემოხსენებული დარგის დღიური მუშები არიან. ამ დაწესებულებაში დაახლოვებით ასამდე დღიური მუშა ითვლებიან და არავითარ კოლექტიურ ხელშეკრულებით არ სარგებლობენ, თუმცა მათ შორის ბევრი ისეთებიც არიან, რომლებიც განუწყვეტლივ ზოგი ნახევარი და ზოგი ერთ წელზე მეტი მუშაობენ. ყველამ კარგათ ვიცით, რომ იანვრის მომატებამ ზარალის მეტი მუშებისათვის არაფერი მოიტანა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ნაწილმა ზემოხსენებული მუშებისა ეს დამატება თავის დროზე მიიღეს და ნაწილს კი ჯერაც არ მიუღია. ლაპარაკობენ მხოლოდ თებერვლიდან და არა იანვრიდან. რა არის მიზეზი? დღემდე თუ დღიური მუშები ღებულობდენ მომატებას თვიურებთან ერთად, დღეს რა დაშავდა დღიურმა მუშებმა. ეს კითხვები დღესაც გამოურკვეველია და საჭიროა სათანადო ყურადღება მიექციოს.

უნდა აღინიშნოს იქნეს ჯამაგირის დარიგების წესი. აქაურ მუშებს ხშირათ უძღვებათ სათითაოთ და კიდევ ლოდინი მანამ ჯამაგირებს მიიღებდეს. მიიღებ როდისმე, მაგრამ ძნელად რომ სწორედ მიიღო და თუ შეეკითხე: რატომ ნაკლებს მაძლევთ, გეპასუხებიან: „გამოწერილი ასეა და ახლა არაფერი [illegible]". საერთოდ ჯამაგირების დარიგების დაგვიანებამ აქ ჩვეულებრივი ხასიათი მიიღო, რაც აუცილებლად გასწორებას საჭიროებს.

ერთი მუშათაგანი.

სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნო. 27 მარტს შესდგა შეერთებული საერთო კრება სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნოს და ამავე სამინისტროს ფეხსაცმელების შემკეთებელ სახელოსნოს მუშებისა ამხ. კოჭლამაზაშვილის თავმჯდომარეობით. დღიურ წესრიგში იყო: 1) ოქმების განხილვა და დამტკიცება, 2) არჩევა მეცხრე კომიტეტის წევრისა, სარევიზიო კომისიისა და დამტკიცება კომიტეტის შემადგენლობისა. წარსულ საერთო შეერთებულ კრებაზე არჩეულ კომისიის სხდომებზე მიღებულ ოქმებს კრება უცვლელათ ამტკიცებს. კამათს იწვევს კომისიის მეორე სხდომაზე მიღებული რეზოლუცია. ეს უკანასკნელი ეხება მეტყავეთა კავშირის საბჭოს მოქმედებას და მის მიერ გამოცემულ პროკლამაციას. პროკლამაცია შეიცავს ათასგვარ ინსინუაციებს, მიმართულ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წინააღმდეგ. უწოდებს კავშირთა საბჭოს „მოღალატეს", უცხადებს „უნდობლობას" და სხ.

კომისიამ, რომელმაც ზემოთ აღნიშნულ პროკლამაციაში მოყვანილ ლანძღვების გარდა, მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ მეტყავეთა კავშირის გამგეობას დღემდის არაფერი დადებითი არ გაუკეთებია ფეხსაცმელების სახელოსნოებში მომუშავეთათვის; მიიღო შემდეგი რეზოლუცია, რომელიც დღევანდელმა კრებამ უცვლელად დაამტკიცა: „მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლაბაურის, ფეხსაც. მკერავთა საბჭოს მიერ გამოცემულ პროკლამაციის შესახებ და ამავე საბჭოს მოქმედების შესახებ, კომისია ადგენს: გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი აღნიშნულ საბჭოს ასეთი საქციელისათვის, ამასთანავე ვაცხადებთ, კატეგორიულად, რომ ვინაიდან ფეხსაცმელების მკერავთა კავშირის გამგეობა არ სდგას კარგ ნიადაგზე, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს პროფესიონალურ მოთხოვნილებას და მან ნაცვლად ჩვენი პროფესიონალური ინტერესების დაცვისა, პროკლამაციების გამოშვებას მიჰყო ხელი, რომელსაც ჩვენ სრულიად ვიწუნებთ; ჩვენ ვწყვეტთ დროებით საწევრო გადასახადის შეტანას და ყოველგვარ ჩვენ საქმეს ვაწარმოებთ ცალკე დამოუკიდებლათ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის დახმარებით, ვიდრე ფეხსაცმ. მკერავთა კავშ. გამგეობა არ გაჯანსაღდება და არ დაადგება სწორ გზას. ამასთანავე ჩვენ ვთხოვთ საბჭოს სეკრეტარიატს მოახდინოს რევიზია კავშირის გამგეობის, რადგან ჩვენ არ ვიცით, სად მიდის ის ოთხი პროცენტი, რომელსაც ჩვენ ვიხდით გამგეობის სასარგებლოდ. მეცხრე კომიტეტის წევრათ კრებამ აირჩია ამხ. ლაბაური, ხოლო ოთხი კომიტეტის წევრები იქნებიან ორივე ქარხნიდან. სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ ამხ 1) ჩუმაჩენკო 2) კოხტაანცი 3) გულუგოზიანი, კანდიდატათ გელეჯერიძე. დასასრულ ჟურნალი „მუშათა ცხოვრების" გამოწერა კრებამ ყველა მუშებისათვის სავალდებულოთ გახადა.

ვანიკ.

პროვინცია

ზემო-გომი (ქართლი). გორის მაზრაში საერთოდ და განსაკუთრებით ხაშურის რაიონის მტკვრის გაღმა კუთხეებში, მთებში, სადაც უმეტესი რიცხვი მოსახლეობისა შესდგება ოსი გლეხობისაგან, ბნელი ძალები თავისუფლად ინახავენ თავს და იმათ ვერაგულ მოქმედებას აღარ აქვს საზღვარი.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ ყაჩაღებმა ხეთაგუროვმა და გულაშვილმა, რომელნიც არიან ბრძოს ნაწყვეტის ნაწილს წარმოადგენენ და რომლებიც ბოლშევიკებს უწოდებენ თავიანთ თავს, გაიტაცეს ახალსოფლის რაზმის უფროსი ან. სკანაძე და ისე მხეცურად აწამეს და მოჰკლეს, რომ კაცისთვის წარმოუდგენელია ის გამხეცებული ადამიანების მიერ ჩადენილი საზარელი მკვლელობა. ამას არ დასჯერდნენ. ამ ორიოდე დღის წინათ საზარელმა ამბავმა მოიცვა მთელი არე. ზემოხსენებულმა „ბოლშევიკებმა" გაიტაცეს 70 წლის მოხუცი ილო ნონიაძე და ხევში, ტყეში საშინლად უწამებიათ და მოუკლავთ. ამ ამბავმა ხალხი ძლიერ დაღონა და დაინანა თავგამოდებული უწესობების წინააღმდეგ მებრძოლი მოხუცი ილო.

მოხუცი ილო დაუძინებელი მტერი იყო რესპუბლიკის მოღალატეებისა. პირველად მან ჩამოსჭრა მარჯვენა ხელი სკანაძის სახით და ბოლოს თვითონაც იმსხვერპლეს საზიზღარმა ხელმა პატიოსანი ადამიანი.

ეს ამბავი გომში შეიტყვეს თუ არა, მაშინათვე ხაშურის გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ ამ საზიზღარი ამბის გამო გაგზავნა გომიდან რაზმი იქ, სადაც მკვლელობა მოხდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგანაც ყაჩაღებმა უკვე თავისი გზა მონახეს.

საჭიროა სასტიკი ზომები, თორემ საუკეთესო ამხანაგებს სათითაოდ გამოგვეცლებიან ხელიდან და მერე თავში ცემა გვიანღა იქნება.

ხარიდალი.

წერ. რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით განვუცხადო მკითხველთა საყურადღებოთ შემდეგი: შემთხვევით ხელში ჩამივარდა პატარა გამოცემა სათაურით „პარნასი, მარტი № 1". ამ წიგნაკში სხვა ნაწერებთა შორის, ერთი, სახელდობ „ასურისთან", ხელმოწერილია ვიღაც ს. რუსთველის მიერ.

ფსევდონიმი „რუსთველი" აგერ ოცდა შვიდი წელიწადია მეკუთვნის მე და მისი მითვისება ახალგაზრდა მწერლის მიერ ან არ ცოდნაა სალიტერატურო ეთიკისა, ან განზრახ მოტაცება. არც ერთი და არც მეორე დასაშვები არ არის მწერლობაში. მე არ მიმაჩნია ჩემი ფსევდონიმი იმდენად სახარბიელოთ, რომ მას შეეძლოს ვინმეს გულში სიხარბის აღძვრა. მით უმეტეს, რომ ის წარმოდგა ძველი „რუსთაველ"-იდან, რომლის პატრონიც მე დავიბადე და გავიზარდე.

პატივისცემით ფ. მეგლაძე (ფ. რუსთველი).

განცხადებანი

45,000 მანეთად

იყიდება 60 „პარტა" 2 მაგიდა და 4 საკლასო დაფა.

პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5). 9—4 ს. მაჩაბლის ბინაზე. ვთხოვთ, ვისაც ყიდვა არ სურს, ნუ შეგვაწუხებენ. (1191 1—1)

ძ. თელავში იყიდება

სახლი

ვ. ნაცვლის ქ. № 23 იკითხეთ თელავში მიხაკო ოგანეზოვთან. თფილისში—იზმაილოვის ქ. № 12. მიკირტუმოვთან. (1180—2—2)

გამოცდილ ბუღალტერს

რომელსაც მიუღია ყოველმხრივი გამოცდილება სხვადასხვა სამრეწველო და საზოგადო დაწესებულებებში 15 წლის განმავლობაში, სურს

გამოიცვალოს ადგილი

მისამართის გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის" რედაქციის კანტორაში. (1133 4—2)

ექიმი

ა. ბ. მართუხოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914 „ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ხერსონის ქ. № 9, ვორონცოვის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (ო. 546)

ექიმი

დოქ. [illegible]

([illegible])

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (ო. 561)

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, შარდის და ნერვიულ სისტემის. რენტგენოსა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიიღება დილით 11—12 და საღამოთი 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი

ნ. ლ. ცურიაშვილი

იღებს შინაგან, სქესობით და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. 119—ო.

ელექტრონ მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, შარდისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. დიაგნოზი და წამლობა X-ს სხივებით. [illegible] მიიღება დილით 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. მუხრანის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ამამად უფასოთ. (ო. 636)

ექიმი [illegible]

სპეციალურად სიფილისი და შინაგანი სნეულებანი (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფებს იღებს მუდამ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 21

ექიმი ა. დ. კაკელი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ის პირდაპირ. ტელ. 14—36. (154—ო.)

კერძო სამკურნალო

ქ. ე. მ. მინარიშვილისა

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კიროჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87. მიიღება ყოველგვარი სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროებისათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.

იღებენ ექიმები

ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.
ა. გ. მამალაშვილი—შინაგ. ავადმყ. და მიკრო—ხიმ. ანალიზი.
ა. გ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავადმყ.
ე. მ. მინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ხ. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. ვ. [illegible]—თვალის ავადმყ.
ვ. ლ. [illegible]—ქალის ავადმყ. და სამშობიარო.

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის. შარდის, განავალის და სხვ. (ო. 009)

ექიმი ქალი

მ. მ. ალფეევი

წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად სამშობიარო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible], იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 37, [illegible] ახლოს.